გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს!

საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცვაა, ფცუნოებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკანასკნელ უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 26 მაისი, 2015 წელი.

№95 (7740)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

მარადჟამ სიხარულის მომგვრელი, მარადჟამ მაისიანი...

ქვეყნის თავისუფლების, დამოუკიდებლობის კიდევ ერთ დიდებულ დღესასწაულს აღნიშნავს დღეს სრულიად საქართველო. საზეიმო განწყობა სუფევს ამერ-იმერში, ჩვენს მიწა-წყალზე, ყველა მოქალაქის გულში.

საგანგებოდ ამ დღისთვის თბილისელთათვის და დედაქალაქის მრავალი საპატიო სტუმრისთვის რუსთაველის პროსპექტზე სახელდახელოდ გამართულ კარვებში სამამულო წარმოების მრავალი დასახელების საქონლის გაყიდვა-გამოფენა ეწყობა, გამოფენილია ცნობილ ქართველ საზოგადო და სამხედრო მოღვაწეთა დოკუმენტური კოლაჟები, მათ შორის, მე-20 საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას, ქვეყნის ჯარების მთავარსარდლის გიორგი კვინტრაძის, სახალხო გვარდიელების, ასევე ე. კლარის მიერ გადაღებული ფოტოები, რომლებთან სამახსოვრო სურათის გადაღება ყველა მსურველს შეუძლია.

თავისუფლების მოედანზე კი, სადღესასწაულოდ მოწყობილ სცენაზე დიდი საზეიმო კონცერტი შუაღამემდე იმართება.

ნაშუადღევს პირველ საათზე, თავისუფლების მოედანზე, საქართველოს ჯარის მთავარსარდალი, ქვეყნის პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი წვევამდელთა საზეიმო ფიცს ჩაიბარებს და სამხედრო მოსამსახურეებს სიტყვით მიმართავს. მოგვიანებით, დღის 4 საათზე, ქუთაისში, ჯარის მე-3 ბრიგადაში, ქვეყნის პრეზიდენტი სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიულოცავს, შემდგომ სამხედრო ტექნიკას დაათვალიერებს.

მრავალრიცხოვანი სადღესასწაულო ღონისძიებებიდან განსაკუთრებით ერთზე გვინდა შევჩერდეთ, პატივცემულო მკითხველო. 26 მაისს ყველა მსურველს ჰეპატიტზე უფასო ტესტირების ჩატარების შესაძლებლობა აქვს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები სიხარულით ვულოცავთ ქვეყნის ყველა მოქალაქეს დამოუკიდებლობის დღეს და წარმატებას ვუსურვებთ საზოგადო საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

ნინო ალექსანდრია

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.



კიბო არ არის სასიკვდილო განაჩენი, ეს დაავადებაა

რა არის ავთვისებიანი სიმსივნე? შესაძლებელია თუ არა კიბოს თავიდან აცილება? ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის რა თანამედროვე მეთოდები არსებობს? როგორია ონკოპაციენტთა განკურნების შანსი, რას აკეთებს სახელმწიფო ამ მძიმე სენით დაავადებულ ადამიანთა დასახმარებლად და, რაც მთავარია, არსებობს თუ არა კიბოს დამარცხების რეალური შანსი? — ეს კითხვები, ბუნებრივია, აწუხებს საზოგადოებას, ვინაიდან ავთვისებიანი სიმსივნეებით ავადობის მაჩვენებლები საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, განუხრელად იზრდება. ონკოლოგიური დაავადებები გამოსავალის მიხედვით მძიმე პათოლოგიათა რიცხვს განეკუთვნება და მეორე ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ავადობისა და სიკვდილიანობის სტრუქტურაში.

„— მედიცინა დღეს ისე სწრაფად ვითარდება, რომ, თუ გინდა მოთხოვნათა სიმაღლეზე იყო, მუდმივად უნდა განაახლო არსენალი და მოამზადო სპეციალისტები“, — აცხადებს კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი **ფრიდონ თოდუა**, რომელიც ზემოთ დასმულ პრობლემებზე გვესაუბრება..

იხ. 3 გვ.

ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო

„ქართული ერთობის დარბაზის“ განცხადება

6

საქვეყნო საქმეს უმაგრებს საძირკველს

წარმატებული მეწარმე, დიდბუნებოვანი ქველმოქმედი, უპრეტენზიო მეცნიერი და, რაც მთავარია, – კაცი!

5

„ვარიაგების“ მომდევნო გაჩერება მოლდოვაა?!

2

სულ მალე ახდა „ბიძინიდების“ წინასწარმეტყველება

◎ ინფორმაცია

გვილოცავენ დამოუკიდებლობის დღეს

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი ალექსის ციპრასი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს.

„გულწრფელად გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს და ვუსურვებ ქართველ ხალხს კეთილდღეობასა და წინსვლას. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ხანგრძლივი მეგობრული კავშირები კვლავაც მოგვცემს ჩვენი ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობას ორივე ქვეყნისა და ჩვენი მოქალაქეების საკეთილდღეოდ“, — ნათქვამია საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის მისალოც წერილში.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს ესტონეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ტაავი რიივასი .

„ძვირფასო კოლეგა, გულწრფელად გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს და გისურვებთ წარმატებებს! ვსარგებლობ შემთხვევით და გამოვხატავ რწმენას, რომ თბილი ურთიერთობები და ნაყოფიერი თანამშრომლობა საქართველოსა და ესტონეთს შორის კიდევ უფრო გაღრმავდება ჩვენი მოქალაქეების საკეთილდღეოდ,“ — ნათქვამია მისალოც წერილში.

უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიები ანაკლიის პორტის პროექტით დაინტერესდნენ

ეს დაინტერესება „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ წარმომადგენელთა ჩინეთში ვიზიტს მოჰყვა.

მათივე ინფორმაციით, „თიბისი ჯგუფის“ ხელმძღვანელი მამუკა ხაზარაძე, ამერიკელ პარტნიორებთან ერთად, კომპანიების — COSCO Pacific-ის, TEDA-სა და ჩინეთის განვითარების ბანკის ხელმძღვანელებს შეხვდა.

COSCO Pacific **მსოფლიოში სიდიდით მეოთხე პორტ-ოპერატორია, რომელსაც გლობალური ბაზრის 9% უჭირავს.** TEDA — **ეს არის უმსხვილესი თავისუფალი სავაჭრო-ტექნოლოგიური და ინდუსტრიული ზონა, რომელიც ჩინეთის ეკონომიკის ერთ-ერთი მამოძრავებელი პროექტია. რაც შეეხება ჩინეთის განვითარების ბანკს, ეს არის მულტიმილიარდიანი სახელმწიფო ბანკი. კომპანიები მზად არიან, განიხილონ ანაკლიის პროექტში პარტნიორობის საკითხები. უახლოეს მომავალში მათი წარმომადგენლები საქართველოშიც ჩამოვლენ და ადგილზე შეისწავლიან პორტის განვითარების შესაძლებლობებს.**

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“, რომელიც აერთიანებს „თიბისი ჰოლდინგსა“ და „კონტი ჯგუფს“ ანაკლის პორტის განვითარების პროექტზე გამოცხადებული ტენდერის ბოლო ეტაპზე მონაწილეობს.

◎ მიშა და მისი ხელისბიჭები...

„ვარიაგების“ მომდევნო გაჩერება მოლდოვაა?!

სულ მალე ახდა „ბიძინიდების“ წინასწარმეტყველება

ეს 26 მაისიც მიხეილ სააკაშვილის გარეშე ჩაივლის. მისი თანაგუნდელები დიდი მონდომებით აპიარებდნენ, რომ მიშა თბილისში შეხვდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, მაგრამ არ გამოუვიდათ. ყოფილ მთავარსარდალს სამშობლო ხელბორკილებიანს ელოდება. სამწუხაროა!!! არც ერთ ღირსეულ მოქალაქეს არ უნდა ხიბლავდეს თავისი ქვეყნის ექსპრეზიდენტის ასეთი ხვედრი, მაგრამ ეს გზა თავად აირჩია. საქართველოს ტიპის ქვეყნის პირველ პირს ისე გაზულუქება არ ეკადრება, როგორც მიშას ჩვეოდა.

ის მაინც მომღიმარი სახით დადის. წარსულის „ტყუილების გუდა“ მოუკიდებია და ქვეყნიდან ქვეყანაში დაათრევს, თუმცა ამ ტყუილებისა თვითონ უფრო სჯერა, ვიდრე მსმენელებს... მან გაბედა და რიგაში ჩავიდა, გაბედა და სარფს მოადგა, გაბედა და უკრაინაშიც სცადა ფესვების გადგმა, მაგრამ არ აცალეს. იმთავითვე გაიფრთხილეს კიევის მთავრობა, რომ ქართველი „რეფორმატორები“ თავგზას აუბნევდნენ, მაგრამ მაშინ არ დაიჯერეს. სკეპტიკურად აღიქვეს ქართველების მოწოდება იმის შესახებ, რომ ნაჩინოვნიკარები პრობლემებით დახუნძულ ქვეყანას, მით უმეტეს რუსეთთან ღია ომში პირისპირ დარჩენილ უკრაინას პრობლემებს შეუქმნიდა. აგრესიული, იმპულსური, ამპარტავანი და ფულის მოყვარული „ქართველი ბიჭები“ დიპლომატად არ გამოადგებოდათ. ზოგადად, ადამიანებს რეფორმები სჭირდებათ მშვიდობისა და სტაბილურობისათვის და არა სახელისუფლებო სექტის გასამდიდრებლად, რისი გამოცდილებაც საქართველოს უკვე ჰქონდა...

„არ გაუმართლათ ბიჭებს, — წერს ანალიტიკოსი სიმონ კილაძე, — ხომ ამბობდა ლეონიდ კუჩმა თავის დროზე, უკრაინა საქართველო არ არის, ქართული მეთოდებით ჩვენთან მუშაობა ძნელი იქნებაო. მართლაცდა, სად პატარა 4-მილიონიანი საქართველო და სად 45-მილიონიანი უკრაინა“.

ვარაუდობენ, რომ ცხელი ზაფხული შეიძლება მხურვალე აღმოჩნდეს ქართველი „ვარიაგებისთვის“, რომელთაც უკრაინის ტერიტორიას მალე დაატოვებინებენ. ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორ გამოაძევეს ამ ქვეყნიდან ქართველი „კანონიერი ქურდები“, ამას მოჰყვა სკანდალები დამკვირვებლებთან დაკავშირებით. წინ სიურპრიზებია.



„საერთოდ გაუგებარია, რითია დაკავებული ეს ადამიანი“, — წერს უკრაინული პრესა დავით საყვარელიძეზე: არადა, გულმოცემული და თავის ამაყი წარსულით წაქეზებული გენპროკურორის მოადგილე უკვე პირდაპირ ეთერში აწყობდა ხმაურიან დაპატიმრებებს. ამ ჟესტით საქართველოში შიშის სინდრომი კი დათესეს, მაგრამ უკრაინაში არ გამოუვიდათ. ჯერ კიდევ ამ თვის დასაწყისში გახმიანდა ინფორმაცია ალექსანდრე კვიტაშვილის არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე ჯანდაცვის სამინისტროში.

ჯაბა ებანოიძე, ეკა ზღულაძე, გიორგი ვაშაძე — თავს იწონებდნენ უკრაინული წარმატებებით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი დროებითია. „დემოკრატიის შუქურა“ სააკაშვილიც, რომელიც პიოტრ პოროშენკოს მრჩეველთა საბჭოს ხელმძღვანელობს სავარაუდოდ, მათ რიგებში აღმოჩნდება. ბუნებრივია, იგი უკმაყოფილებას საჯაროდაც ვერ მალავს. **„ვფიქრობ, ცვლილებები ქვემოდან, საზოგადოების ზეწოლის გზით თუ მოხდება, თორემ ზემოდან მე პოლიტიკური ნების გამომჟღავნებას ვერ ვხედავ. თვით უკრაინის ხელისუფლების სტრუქტურა არ იძლევა ამის საშუალებას, რადგან ნებაც რომ გქონდეს, რეფორმას მაინც ვერ განახორციელებ. ხელისუფლებას რეფორმების გატარება და თანამოქალაქეთა კეთილდღეობა არ სურს“.** როგორი „კეთილი ზრახვებითაც“ არ უნდა იყოს ეს ნათქვამი, სავარაუდოდ, თავმოყვარე ქვეყნის თავმოყვარე პრეზიდენტი საკუთარ მრჩეველს ამ განწყობას არ მიუტევებდა. ამიტომაც, აიღეს გეზი სააკაშვილმა და მისმა ბიჭებმა ახალი ქვეყნისკენ. და ეს ქვეყანა, როგორც ამბობენ, მოლდოვაა... კიდევ უფრო განსხვავებული და თავისებური, ვიდრე უკრაინა, მით უმეტეს, ვიდრე საქართველო.

მაგრამ სააკაშვილი ჯერ არ ნებდება. „სახალხო ექსპრეზიდენტი“ ისევ ხალხში გადის, ისევ ოხუნჯობს, ისევ შაყირის ხასიათზეა. ამას წინათ მკერავი ქალების მარშში მიიღო მონაწილეობა და ამდენი ლამაზმანის გარემოცვაში გულიც ლამაზად აუძგერდა. უკრაინელი „ვიშივანკების“ მარში ოდესაში არაფრით იქნებოდა გამორჩეული, სააკაშვილს რომ არ დაემშვენებინა. ქალები მიშასთან ერთად სკანდირებდნენ, რომ უკრაინა ევროპაა! სააკაშვილის ირონიული კომენტარი ასეთია: „იმ ბრძენი კაცის“ მთავრობა ყოველდღე ამტკიცებს, რომ ქართველი რეფორმატორები სულ უფრო მეტად ეზიზღებათ უკრაინაში... ბიძინა და ბიძინოიდები არასოდეს ტყუიან!“

ამ სიტყვებში დიდი ცინიზმია, მაგრამ ასევე დიდი სიმართლე, ნაციონალებისდა სამწუხაროდ. „ვარიაგების“ უკრაინაში გატარებული ყოველი დღე კიდევ უფრო აშორებს მათ უკრაინას... საინტერესოა, სად და რამდენ ხანს გასტანს მათი მომდევნო გაჩერება?!

ნია ფიფია

◎ ვინ მოკლა გურამ შარაძე?

მამის საეარაუდო მკვლელებისა და დამკვეთების გვარები გაასაჯაროვა

მოკლული **გურამ შარაძის შვილმა რუსუდან შარაძემ მამამისის საეარაუდო მკვლელებისა და დამკვეთების სახელები და გვარები გაასაჯაროვა. ამის შესახებ შარაძემ „ობიექტივის“ ეთერში განაცხადა და აქვე ისაუბრა მის მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე, თუ რა ვითარებაში დაიგეგმა მამამისის მკვლელობა.**

„გასული წლის მაისიდან ვლაპარაკობ პოლიციელზე სამეგრელოდან, რომელიც მამაჩემის მკვლელობის საქმეში უმნიშვნელოვანესი მოწმეა. დღეს მზად ვარ, დავასახელო ამ მოწმის ვინაობა, ასევე ვიტყვი იმ ორი სპეცრაზმელის გვარებს, რომლებსაც მამაჩემი უნდა მოეკლათ. ასევე დავასახელებ იმ პირების ვინაობასაც, ვინც პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობდა მამაჩემის მკვლელობის საქმეში.

მოწმე პოლიციელი გახლავთ გურიკა ქადარია. მამაჩემის მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის იმჟამინდელი უფროსის მოადგილემ მეგის ქარდავამ დაიბარა მასზე სამსახურებრივად დაქვემდებარებული გურიკა ქადარია და გურამ შარაძის მკვლელობის სისრულეში მოსაყვანად უბრძანა ზუგდიდიდან თბილისში ორი სპეცრაზმელის ავტომანქანით გადაყვანა. ეს ორი სპეცრაზმელი გახლავთ გია ფაჩულია და თემურ ჯგერენაია, რომლებსაც უნდა შეესრულებინათ მკვლელობა. თბილისში ჩამოსულ ქადარიას, ფაჩულიას და ჯგერენაიას მითითებები უნდა მიეღოთ გია დგებუაძისგან, იმავე „მასტერასგან“. გაწეული სამსახურისთვის მეგის ქარდავამ გურიკა ქადარიას წინასწარ გადაუხადა 5 000 დოლარი. ეს თანხა ქადარიას პირადად გადასცა ქარდავას მარჯვენა ხელის კოხტა კოდუას ბიძამ.

რაც შეეხება ცეცხლსასროლ იარაღს, ეს უკვე მაშინდელი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის რეგიონული სამმართველოს უფროსის კახა ლატარიას უშუალო დავალებით ქადარიას თავად კოხტა კოდუამ გადასცა.

ქადარიას აღარ სურდა მამაჩემის მკვლელობაში მონაწილეობა. ამას მიუხვდნენ და გამოკეტეს პოლიციის შენობაში. მას ემუქრებოდნენ სამხარეო პოლიციის სხვა თანამშრომლებიც, კერძოდ: ლაშა ექონია, ზაზა ხასაია და გურიკა ჭითანავა. ეს ის გურიკა ჭითანავაა, რომელიც გასულ წელს დაკავეს სამეგრელოში წამებისა და გაუპატიურების ცნობილი კადრების აღმოჩენის შემდეგ.

საბოლოოდ, ქადარიას სანდოობის განსაზღვრა მოხდა ბრძანებით, რომელიც სამხარეო პოლიციის იმჟამინდელი უფროსის თენგიზ გუნავას სამუშაო კაბინეტში გაიცა. ქადარიას ბიძამისი ნარკოტიკული საშუალების შენახვის ბრალდებით უნდა დაეპატიმრებინა. ამაზე ქადარიამ უარი განაცხადა, დაწერა პატაკი და სამსახურიდან წავიდა. ამ ინციდენტიდან ცოტა ხანში, ქადარიას სახლში სამხარეო პოლიციამ სპეცოპერაცია ჩაატარა. ქადარიას მიუახლოვდა ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს იმჟამინდელი უფროსი კობა ნარსია და იმ ცეცხლსასროლი იარაღის ადგილსამყოფლის მითითება მოითხოვა, რომელიც მას გურამ შარაძის მკვლელობისთვის გადაეცა. პოლიციამ იარაღი ამოიღო და გურიკა ქადარია იარაღის უკანონო შენახვის ბრალდებით დააკავეს. როდესაც მიხვდნენ, რომ ქადარია გურამ შარაძის მკვლელობის საქმეზე არაფერს იტყოდა, გაათავისუფლეს. ცოტა ხანში მან ის 5 000 დოლარიც დააბრუნა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, ქადარია „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიაში ჩაერთო და საკუთარ სახლში გახსნა „ოცნების“ საარჩევნო შტაბი.

ჩემს მიერ მოყვანილი ინფორმაცია შარშან ქადარიამ სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურას ოფიციალურად განუცხადა, მაგრამ დასახელებული პირებიდან არც ერთი არ დაკითხულა“, — განაცხადა რუსუდან შარაძემ.

ნენე სტეფანიშვილი

კიბო არ არის სასიკვდილო განაჩენი, ეს დაავადებაა

კატასტროფაა, როცა მედიცინას უყურებ, როგორც ბიზნესს

(პირველი გვერდიდან)

— ბატონო ფრიდონ, რა შეგიძლიათ, თქვათ ონკოლოგიური ავადობის ასეთი მატების შესახებ?

— ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიოში კიბოს 14 მლნ-ზე მეტი ახალი შემთხვევა ვლინდება. ექსპერტთა პროგნოზით, 2020 წლისათვის ეს რიცხვი 20 მილიონამდე გაიზრდება, გაუსწრებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს და ავადობისა და სიკვდილიანობის მიზეზთა შორის პირველ ადგილს დაიკავებს. პროგნოზი უნუგეშოდ ჟღერს, მაგრამ ერთიც ცხადია, ონკოდაავადების სიხშირის ზრდა გარკვეულწილად დიაგნოსტიკის მეთოდების განვითარებამ და სრულყოფამაც გამოიწვია.

ჩვენთანაც ონკოლოგიური ავადობის დინამიკა იგივეა, როგორიც დანარჩენ მსოფლიოში და მისი მატება რაიმე განსაკუთრებით მაღალი ტემპით არ გამოირჩევა. თუმცა, ეს დამშვიდების საბაბს ნამდვილად არ გვაძლევს, მით უფრო, რომ საქართველოში მაღალია იმ პაციენტების წილი, რომლებიც ექიმს დაავადების საკმაოდ შორსწასულ სტადიაში მიმართავენ. ასეთი პაციენტები საჭიროებენ ხანგრძლივ და ძვირადღირებულ მკურნალობას, ხოლო პროგნოზი მეტწილად არაკეთილსაიმედოა, მაშინ, როდესაც I-II სტადიაში დადგენილი სიმსივნის მკურნალობის ეფექტურობა ძალიან მაღალია და ხშირად სრული გამოჯანმრთელებით სრულდება. ავთვისებიანი სიმსივნეების შემთხვევაში მკურნალობის ეფექტიანობა პირდაპირ არის დამოკიდებული ადრეულ დიაგნოსტიკაზე. თითოეულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ მისი ჯანმრთელობა მისსავე ხელშია და ხშირად ზოგიერთი დაავადების თავიდან აცილება შესაძლებელია დიდი მატერიალური დანახარჯების გარეშე.

უპირველესად, უნდა დავძლიოთ შიშის ფაქტორი და გავაცნობიეროთ, რომ კიბო არ არის სასიკვდილო განაჩენი, ეს არის დაავადება, რომელიც, როგორც ბევრი სხვა პათოლოგია, ექვემდებარება მკურნალობას და განკურნებადია დაავადების დროული დიაგნოსტიკის შემთხვევაში.

— რომელი ავთვისებიანი სიმსივნეებია უფრო მეტად გავრცელებული საქართველოში? არის თუ არა რაიმე განსხვავება სქესისა და ასაკის მიხედვით?

— ჩვენს პოპულაციაში მამაკაცებში ყველაზე ხშირია ფილტვის, პროსტატის, კოლორექტული სიმსივნეებით ავადობა, ხოლო ქალბატონებში — ძუძუს და რეპროდუქციული ორგანოების სიმსივნური პათოლოგიები. ორივე სქესისთვის აქტუალურია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სიმსივნეები, ბოლო პერიოდში საკმაოდ იმატა ფარისებრი ჯირკვლის და ცენტრალური ნერვული სისტემის სიმსივნეებმა.

— და მაინც, შესაძლებელია თუ არა ონკოლოგიური ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება?

— რასაკვირველია! კიბოთი ავადობა და სიკვდილიანობა შეიძლება შემცირდეს და გაკონტროლდეს დაავადების პროფილაქტიკის, ადრეულ სტადიაზე გამოვლენისა და ადეკვატური მკურნალობის ჩატარების შემთხვევაში, როცა განკურნების შანსი ძალიან მაღალია, ხაზს ვუსვამ — განკურნების! დამტკიცებულია, რომ 30%-ზე მეტი კიბოს შემთხვევების პრევენცია შესაძლებელია ძირითადი რისკ-ფაქტორების თავიდან აცილებით, შემთხვევათა კიდევ 30%-ში სწორად ჩატარებული მკურნალობა სრული გამოჯანმრთელებით მთავრდება, დანარჩენ შემთხვევებში კი ჩვენ ვიბრძვით სიცოცხლის გახანგრძლივებისა და დარჩენილი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

— როგორც ვიცით, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, სამწუხაროდ, საკმაოდ რთული, ხანგრძლივი და ძვირად ღირებული პროცესია, რომელთანაც გამკლავება ძალიან რთულია...

— რთულია ფიზიკურად, მორალურად, ფინანსურად. ადამიანი შეიძლება არ იყოს უმწეო თავისი სოციალური სტატუსის მიხედვით, მაგრამ აბსოლუტურად უმწეო აღმოჩნდეს ისეთი პრობლემის წინაშე, როგორიცაა ავთვისებიანი სიმსივნე. ონკოლოგიურ პაციენტებს, როგორც წესი, სჭირდებათ საკმაოდ ბევრი და სერიოზული გამოკვლევა და მკურნალობის პროცესში არა მხოლოდ ქირურგიული ჩარევა, არამედ დამატებით სხივური და ქიმიოთერაპიის არაერთი კურსი. მას შემდეგ რაც ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ აღმოჩნდნენ ის ადამიანები, რომლებიც აქამდე, ფაქტობრივად, განწირულნი იყვნენ. სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი გახდა ნებისმიერი ადამიანისთვის, ეს უკვე უდავოდ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ჯანდაცვის სისტემისთვის.

— როგორი ტიპის დაწესებულებებში უნდა ხდებოდეს ონკოლოგიური პაციენტების მომსახურება?

— უდავოდ ძალზე მნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხია. კიბოს მკურნალობა უნდა ჩატარდეს მხოლოდ იმ დაწესებულებაში, რომელიც აღჭურვილია ადეკვატური სადიაგნოსტიკო და სამკურნალო საშუალებებით, დაკომპლექტებულია შესაფერისად განსწავლული, მაღალკვალიფიციური კადრებით, სამწუხაროდ, დღეს საქართველოში უამრავმა დიდმა თუ მცირე მასშტაბის კლინიკამ აიღო თავის თავზე ონკოლოგიური პაციენტის მართვა და, შედეგედად, პაცინტი ხშირად ხდება არაპროფესიონალიზმის მსხვერპლი...

— თუ იმატა უკანასკნელ პერიოდში ონკოლოგიურმა პათოლოგიამ თქვენს ინსტიტუტშიც?

— სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად სიმსივნური წარმონაქმნი შემთხვევითი აღმოჩენაა ხოლმე ულტრაბგერითი თუ კომპიუტერული კვლევების დროს, ხანდახან პროცესი იმდენად გავრცელებულია, რომ გვიწევს დამატებითი გამოკვლევების წარმოება პირველადი კერის დასადგენად. ონკოლოგიური პაციენტის მართვის პროცესში სრულყოფილ დიაგნოსტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორად დასმულ დიაგნოზზე დამოკიდებულია მკურნალობის ტაქტიკა და მისი უახლოესი და შორეული შედეგები.

ჩვენ ჯერ კიდევ 2013 წლიდან გადავწყვიტეთ ონკოლოგიური მიმართულების გაძლიერებისთვის ზრუნვა — აშენდა ახალი კორპუსი, სადაც განთავსდა ონკოლოგიის (ქიმიოთერაპიული) და რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტები. ექიმი-ონკოლოგების მიერ ხდება თითოეული ონკოლოგიური პაციენტის დეტალური გამოკვლევა და მკურნალობის ტაქტიკის შერჩევა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. ინსტიტუტში, რადიკალურ და ორგანოშემანარჩუნებელ ონკოქირურგიულ ოპერაციებთან ერთად, პაციენტებს შესაძლებლობა აქვთ, აქვე ჩაიტარონ კომბინირებული და კომპლექსური მკურნალობის ყველა კომპონენტი — ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, იმუნოთერაპია, ტარგეტული თერაპია. რადიაციული ონკოლოგიის განყოფილება აღჭურვილია VARIAN-ის ფირმის 2 უახლესი ხაზოვანი ამაჩქარებლით Truebeam-ით. მასში ინტეგრირებულია სპეციალური კომპიუტერული ტომოგრაფი 33 გამოსახულების მიღებისა და მკურნალობის ტექნოლოგიების სინქრონიზაციით, რომლის საშუალებით პაციენტს უტარდება ზუსტ გამოსახულებაზე დაფუძნებული სხივური თერაპია. ეს უახლესი ტექნოლოგიები საშუალებას გვაძლევს, გაცილებით დიდი სიზუსტით, ჯანმრთელი ორგანოებისა და ქსოვილების დაცვით მოხდეს სამიზნე უბნის მაქსიმალური დასხივება. აპარატი ავადმყოფებს უადვილებს სამკურნალო პროცედურებს, რადგან ასეთი ტექნოლოგიები უზრუნველყოფს დასხივების პროცედურის სწრაფ და ადეკვატურ ჩატარებას. თრუბიმის შემოტანა საქართველოში სხივური თერაპიის ახალი მიმართულების დასაწყისია. ვიტყოდი, რომ ეს ნამდვილად ეროვნული საქმე უფროა, ვიდრე კომერციული პროექტი, თუმცა, მის განხორციელებაში მართლაც არაერთი მილიონია ჩადებული.

ყოველ წელს კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს გამოკვლევების და მკურნალობისთვის 40 000-ზე მეტი პირველადი პაციენტი მიმართავს. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანები ნდობას უცხადებენ ინსტიტუტს და ჩვენი კლინიკის ექიმებს. ყოველთვის ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ სწორედ ნდობას აქვს უდიდესი როლი, პაციენტისთვის გადამწყვეტი ექიმია — პროფესიონალი, რომელმაც, გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაციის საფუძველზე, სწორი დიაგნოზი უნდა დასვას. აქ შეცდომის უფლება არავის აქვს. ჩვენს ინსტიტუტში მუშაობენ საუკეთესო ექიმები, რომლებიც თავისი დარგის წამყვანი სპეციალისტები არიან, მათი სახელები კარგადაა ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ცენტრში გვყავს 9 სახელმწიფო და 6 ეროვნული პრემიის ლაურეატი. გარდა ამისა ჩვენი შრომები მეცნიერებათა აკადემიის არაერთი პრემიითა და ჯილდოთი აღინიშნა. კლინიკის ასეთი წარმატება თითოეული თანამშრომლის დაუღალავი შრომის შედეგია და წარმატების საფუძველიც ესაა. ინვესტიციები, რომელიც ჩადებული იქნება სპეციალისტების მომზადებაში ყველაზე დიდი უკუგების მომტანია. მეამაყება, რომ ჩვენი ინსტიტუტი საუნივერსიტეტო კლინიკაა. დღეს ბევრს დავიწყებული აქვს სიტყვა — მეცნიერება, მაგრამ არა ჩვენს ინსტიტუტში. ჩვენთვის პრაქტიკულ მედიცინასთან ერთად სამეცნიერო მოღვაწეობა პრიორიტეტულია. მეცნიერების გარეშე ჩვენი ინსტიტუტს არ ექნებოდა ის სტატუსი, რომელიც მას აქვს დღეს. დღეს ბევრი იწერება იმის შესახებ, რომ ხდება ინტელექტის გადინება საზღვარგარეთ, ძალიან სამწუხაროა, რომ სამეცნიერო კადრებს არა აქვთ ჩვენს ქვეყანაში დღესდღეისობით სათანადო ხელშეწყობა. უდიდესი შრომა გვაქვს ჩადებული საქართველოს მედიცინისთვის ახალი თაობის აღზრდაში. ნებისმიერი ადამიანისთვის ყველაზე დიდი სიმდიდრე მისი მოსწავლეებია. ჩემთვის ის ფაქტი, რომ ბევრი მათგანი საერთაშორისო სამედიცინო საზოგადოებაში საუკეთესო სპეციალისტად ითვლება, ყველაზე დიდი ჯილდოა. გულდასაწყვეტია, რომ ქართული ინტელექტუალური ელიტა საზღვარგარეთ მიდის, თუმცა, არიან ისეთებიც ვინც ბრუნდება უკან და თავის ადგილს იმკვიდრებს სამშობლოში. ზოგადად ყოველთვის ვთვლიდი, რომ როგორი წარმატებული და დაფასებულიც არ უნდა იყოს კაცი, სრულყოფილი პიროვნება მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში შეიძლება იყო.

— დღეს საქართველოში სოკოებივით მომრავლდა ცენტრები, რომლებიც სთავაზობენ პაციენტებს დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის საზღვარგარეთ გამგზავრებას. რა შეგიძლიათ თქვათ ამის შესახებ?

— დღეს საქართველოში ნამდვილად არსებობს ყველა შესაძლებლობა, რომ პაციენტებს ადგილზე ჩაუტარდეს სრულყოფილი დიაგნოსტიკა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მკურნალობა.

იხ. 7 გვ.

დღეს საქართველოში ნამდვილად არსებობს ყველა შესაძლებლობა, რომ პაციენტებს ადგილზე ჩაუტარდეს სრულყოფილი დიაგნოსტიკა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მკურნალობა.

რიგის სამიტი

ROMGORC იქნა, დასრულდა რიგის სამიტი. შედეგი? ისეთი, ხელისუფლება და საქმეში ჩახედული ადამიანები რომ ვარაუდობდნენ. დიახ! ხელისუფლებამ კარგად იცოდა რა ვერდიქტს გამოიტანდა სამიტი საქართველოსთვის. იცოდა, მაგრამ „მამაცურად“ იმშვიდებდა თავს – შედეგს, თანაც დადებითს, მივაღწევთო. ვერ მიაღწიეს, მაგრამ ხელისუფლების რომელ განცხადებაში, საჯაროდ ნათქვამში ჩანს, რომ ვერ? თქვენ წარმოიდგინეთ – არც ერთში. რაც ჩანს, ისაა, რომ ეტაპი განვლეთ – უხინჯოდ, წარმატებულად და მომავალ სამიტზე უდავოდ მივაღწევთ მიზანს.

ხელისუფლება, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ჩაგვჩიჩინებდა – საქართველო აუცილებლად მიიღებს ევროკავშირში უვიზო შესვლის უფლებასო, რიგის შემდეგ სხვაგვარად ჭიკჭიკებს – პროცედურაა, რომელსაც ეტაპობრივი გავლა სჭირდება და ჩვენ გავდივართ ამასო.

ხელისუფლებას, საკუთარი თავისთვის სულაც არ სჭირდება უვიზო მიმოსვლა, ვინაიდან, როგორც ხელისუფლებას, მას დიდი ხანია აქვს ეს პრიორიტეტი მინიჭებული. არც სხვები, ძლიერნი ამა ქვეყნისანნი, უჩივიან უვიზობას. ვისაც ეს აწუხებს, ჩვეულებრივი ადამიანები არიან – შიმშილით რომ სული ხდებათ და ლუკმაპურის საძიებლად გაშტერებული თვალებით ევროპას შესცქერიან.

ბევრმა მათგანმა სავიზო რეჟიმის პირობებშიც, კორუფციული გარიგების შედეგად, იგივე „პატიოსან“ ევრომოხელესთან, მოახერხა იქ დასახლება და უკან დაბრუნებას არც აპირებს. არ აპირებს, იმიტომ, რომ სავიზო კანონმდებლობის დარღვევით ცხოვრობს იქ.

ოჯახის მოსანახულებლად დაბრუნების შემთხვევაში, ის უკან წასვლის შანსს დაკარგავს და შერჩება დაუპურებელ, დაუსაქმელ სამშობლოს. იქ წასასვლელად ახალი პასპორტის აღება და იმ კორუფციული გზის გავლა მოუწევს, რომელსაც ადრე ეზიარა და რომლის წყალობითაც შერჩა ევროპას.

უვიზო მიმოსვლა – მხოლოდ წასვლას ნიშნავს და არა მოსვლას, თანაც შესაძლოა სამუდამოდაც. ამას წინათ რუსეთის ყოფილ საელჩოსთან შეკრებილი ხალხის რაოდენობამ მიიპყრო ჩემი ყურადღება. რუსეთი ევროკავშირში არ არის, მაგრამ ის ქვეყანაა, საითკენაც თავქუდმოგლეჯილი გარბის საქართველოს მკვიდრი, ცხადია, იქაც ჩაწყობით, რაღაც მაქინაციებით.

არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ – ხელისუფლება, რომელიც აგერერიგად „ზრუნავს“ ევროკავშირთან უვიზო სისტემის შესაქმნელად, ისეთივე მტერია საკუთარი ქვეყნისა, როგორც ევროკავშირი. და რატომ? საქართველო რომ დაპურებულ-დამშვიდებული ქვეყანა იყოს, მაშინ უვიზო მიმოსვლის არსი, მართლაც თავისუფალ მიმოსვლაში იქნებოდა, მაგრამ, როდესაც ქვეყანა ეკონომიკურ-საფინანსო კოლაფსშია და ასეა ბოლო 23 წელიწადი, მეტნაკლებობით, ქვეყნიდან გაქცევას რომ ექნება და აქვს ადგილი, გასაკვირი არ არის. ხელისუფლება, რომელიც გაქცევას უწყობს ხელს – მოღალატეა. ევროკავშირი კი, რომელმაც გამოიგონა „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამა და პროგრამაში ჩართულ ქვეყნებს უვიზო მიმოსვლას ჰპირდება – მზაკვარია, შორს მომზირალი ავაზაკი, ქვეყნის დაქცევა-განადგურების შემოქმედი, თან ისეთი, ასჯერ რომ მადლობას გადაგახდევინებს, კეთილშობილური ჟესტისთვის.

ყუაზე დასული საქართველოს მოსახლეობა, არა ვიზების ლიბერალიზაციას ითხოვს, არამედ დასაქმებას, საწარმოების შექმნას, მოკრძალებულ ხელფასს და ადამიანურ მოპყრობას, რაც ამ ქვეყანაში არ არის. არც იქ არის, მაგრამ შავ მუშად, დავრდომილი მოხუცის მომვლელად სამუშაოს შოვნას ახერხებს და იტანს იმ დამცირებას, რაც უკანონო მუშის ხვედრია. აქ ამ „შავი“ მუშაობის შანსიც დაკარგულია.

და იყო საქართველო სოლიდურად (ცხადია, რაოდენობით და არა გონიერებით) წარმოდგენილი რიგის სამიტზე. და იყო ერთობ „შთამბეჭდავი“ განცხადებები დელეგაციის წევრთა მხრიდან. იყო ცინიკოსი ევროპის წამახალისებელი სიტყვები ჩვენი ქვეყნის მიმართ –მარტო იმ მიზნით ნათქვამი, რომ არჩეულ ევროატლანტიკურ გზას არ გადავუხვიოთ, მზერა სხვისკენ არ გავაპაროთ. და ჩვენც, ვითარცა ევროპელები, უფრო სწორად ევროპაში დაბრუნებულები (საინტერესოა, როდის ვიყავით?), ევროპის გარეშე არსებობას შეუძლებლად მივიჩნევთ.

ერთხელ ივანიშვილმა ბრძანა – „ჩვენ ევროკავშირში გვინდა იმიტომ, რომ ამაზე საუკეთესო ჯერ არაფერი შექმნილაო“. ალბათ, „საუკეთესო“ რომ არის, იმიტომ ცდილობს დიდი ბრიტანეთი ამ კავშირში დარჩენა-არდარჩენის რეფერენდუმის ჩატარებას ან საბერძნეთი, რომელიც ისეა გამწარებული ბრიუსელის დიქტატით, აღარ იცის ევროზონა დატოვოს თუ ევროკავშირი ან ორივე ერთდროულად.

ევროკავშირი მაშინ იყო ნამდვილი ეკონომიკური კავშირი, როდესაც რამდენიმე ქვეყანა იყო იქ და არა დღეს, როდესაც 28 ქვეყანას აერთიანებს - პოლიტიკურად და არა ეკონომიკურად. ევროკავშირი მაშინ იყო ქმედითი კავშირი, როდესაც პოლიტიკისგან შორს იყო. დღევანდელი ევროკავშირი უდავოდ პოლიტიკური კავშირია, თანაც ერთობ მტრულად განწყობილი რუსეთის მიმართ, მოწადინებული იმით, რომ რუსეთის ყოფილი სატელიტები გადაიბიროს და ახლო ფრონტი გახსნას მის წინააღმდეგ.

ევროკავშირი ისეთივე მონაა გერმანია-საფრანგეთის, როგორც ვაშინგტონის. ვერც ერთი ევროკავშირელი სიტყვას ვერ იტყვის ბერლინ-პარიზის გარეშე, ისე, როგორც ბერლინ-პარიზი-ვაშინგტონის გარეშე. დიდად არ სურდა „ძველ ევროპას“ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შემოღება, მაგრამ ვაშინგტონმა დააძალა და მეტი რა გზა ჰქონდა. ევროპის ქვეყნებმა 23 მილიარდი ევროს ზარალი იგემეს ამ სანქციებით, აშშ-მა – არაფერი, მაგრამ, როდესაც „ბატონი“ ბრძანებს, მერკელ-ოლანდი, პატარა გოშიებივით, უკანა თათებზე დგანან.

ვაშინგტონ-ევროკავშირის ურთიერთობები არ ეფუძნება დემოკრატიას, ის უფრო ვერტიკალურ დიქტატურას ეფუძნება. თვით ევროკავშირიც ცენტრალიზმის პრინციპს ექვემდებარება. ეს რომ ასე არ იყოს, ევროკავშირის 12 ქვეყანა დღესვე გააუქმებდა რუსეთთან შემოღებულ სანქციებს და ააღორძინებდა მანამდე არსებულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, თანაც სტაჟიანი წევრები, ბალტიისპირა სამი ქვეყანა, ბულგარეთი, რუმინეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, მაკედონია, სხვები – რძის მდინარეების ლოდინში, წუმპიდან სვამენ წყალს. საკმარისი იყო ამ ქვეყნების ევროკავშირში გაწევრება, რომ ერთ დროს წარმატებული ეკონომიკა ნულს გატოლებოდა. ბალტიისპირეთი დაცარიელდა მოსახლეობისგან. დახურული საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაკებმა, თავისუფალი, უვიზო მიმოსვლის წყალობით, სკანდინავიის ქვეყნებს, ინგლისს მიაშურეს, რითაც მასპინძლებსაც დაუფრთხეს მშვიდი ცხოვრება და საკუთარი მამული უკაცრიელად აქციეს.

სადღაა ბალტიისპირული სამრეწველო თუ სოფლის მეურნეობის პროდუქცია. უწინდელი სამამულო პროდუქცია, ევროპის ვადაგასულმა პროდუქციამ ჩაანაცვლა. ბალტიისპირელთა მიტოვებულ ადგილებს აფრიკის ჩრდილოეთიდან ლტოლვილების ჩასახლება ემუქრება. მართალია, აღმოსავლეთ ევროპის ევროკავშირის წევრი ქვეყნები წინააღმდეგნი არიან სომალელი, ლიბიელი, სხვა ქვეყნების ლტოლვილების ჩასახლების, მაგრამ, თუ ევროკავშირელი ხარ, საერთო პრობლემა, საერთო ჭირი უნდა გაიზიარო.

ევროკავშირმა არაერთი საათი დაუთმო აფრიკიდან მოზღვავებული ლტოლვილების მიღების საკითხს. არაკანონიერი გზით, მეტადრე ნავებით ლიბიიდან და სომალიდან, იემენიდან გამოქცეული ხალხის შეჩერება შეუძლებელი გახდა. ევროკავშირი ფაქტის წინაშე დადგა თავისსავე ბინძური პოლიტიკის შედეგად, რომელსაც წლების განმავლობაში ატარებდა აფრიკის კონტინენტზე და არა მარტო იქ. მძიმე ფაქტის წინაშე დამდგარი ბრიუსელი უსუსურად ასავსავებს ხელებს. არ იცის, რამდენი შავი ლტოლვილის მიღება დასჭირდება. ბოლო მონაცემებით, ლტოლვილთა რაოდენობამ სამას ათასს მიაღწია.

რამ გამოიწვია ესოდენი მოზღვავება? იმ არაჰუმანურმა პოლიტიკამ, რომელსაც ევროპელი კოლონისტები ათეული წლების განმავლობაში აწარმოებდნენ აფრიკაში. აფრიკის მდიდარი წიაღისეულის უმოწყალო ძარცვა, ადგილობრივთა მონური შრომა, დამცირება, ინფრასტრუქტურის ჩამოუყალიბებლობა არის თავიდათავი. მაგრამ არის სხვაც – თანამედროვე ცინიზმი, სხვისი წარმატების შური.

შური და სხვისი ენერგომატარებლების დაუფლების სურვილი ემსახურებოდა გუშინდელი ლიბიის, ანუ კადაფისეულის წინააღმდეგ ნატოელთა გალაშქრებას – საფრანგეთის, იტალიის, ინგლისის გამანადგურებელი თვითმფრინავების სახით და ვაშინგტონის დირიჟორობით. კადაფი ჯალათურად მოკლეს. აყვავებული ქვეყანა მიწასთან გაასწორეს. ერთმანეთს წაჰკიდეს ლიბიის ტომები, დააქციეს ცენტრალური მმართველობა და აიძულეს ომით შეშინებული ლიბიელები გაქცეულიყვნენ საკუთარი ქვეყნიდან.

უფასო განათლება, სამედიცინო მომსახურება, საცხოვრებელი ბინები, მრავალი სოციალური შეღავათი ვერ აიტანა ცივილიზებულმა, „ტოლერანტულმა“ ევროპამ და ისეთი ორომტრიალი დაატრიალა, რომ მტერს. აი, სწორედ, ის ლიბიელები მიადგნენ ევროპას. აი, ის ლიბიელები, სომალელები, იემენელები ჩასახლდებიან ბალტიისპირა ქვეყნების ობლად მიტოვებულ მიწა-წყალზე.

რა მოგველის ჩვენ? რომელი ერთია ამ ხელისუფლებაში ისეთი ვაჟკაცი, შეეწინააღმდეგოს ბრიუსელს? შეწინააღმდეგების რა მოგახსენოთ, მაგრამ რომ შეეხვეწებიან: „ჩვენთან ჩამოასახლეთო“, – ეჭვი არ მეპარება.

განა, ალასანია არ დარბოდა ბრიუსელში – ჩვენი სამხედროები სამხრეთ აფრიკაში წესრიგის დასაცავად გაუშვითო? განა, სააკაშვილი არ სთხოვდა ვაშინგტონს, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები საქართველოში განალაგეთო. განა, დღევანდელები არ მიმართავენ ბრიუსელს ანალოგიური თხოვნით?

სამწუხაროდ, 23 წლის განმავლობაში საქართველოს არ ჰყოლია ხელისუფლება, რომელსაც აზრიანად, ქვეყნის სასიკეთოდ ემუშაოს.

ნუთუ ჩვენთვის მაგალითი არ არის ის, რაც ევროპა-ამერიკამ უკრაინას დამართა? ერთ დროს წარმატებული ქვეყანა, ცნობილი თავისი მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით, დღეს გაჩანაგებულია – არა სოფელი, არა ქარხანა. რაც არის – ტყუილი, ძმათამკვლელი ომი, 50 მილიარდი ევროს ვალია. და ეს ყველაფერი მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში.

უკრაინა ისეთად მოაქცია ამერიკა-ევროპამ, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით, სხვა პარამეტრებით მსოფლიო ქვეყნებში ბოლო ადგილზეა. თქვენ წარმოიდგინეთ, მასზე წინ ლიბია და იემენია. ჩვენ კი ისევ ევროპა გვინდა. „ჩვენ“, როდესაც ვამბობ, ხელისუფლება და მის ირგვლივ შემოკრებილი ხალხი მყავს მხედველობაში და არა თითო-ოროლა ნორმალურად მოაზროვნე. არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ – დღევანდელი ევროპა ის არაა, გუშინ და გუშინწინ რომ იყო, ლიტერატურის, მეცნიერების, კულტურის საყდარი. ის სხვამ ჩაანაცვლა, ე.წ. ადამიანის „თავისუფლებისთვის“ მებრძოლმა ევროპამ – თავისი ერთსქესიანი ქორწინებით, სხვა გადაქანებით, ცინიზმით, გაუტანლობით.

„აღმოსავლეთის პარტნიორობის“ რიგის სამიტის პერიპეტიებში გართულ ევროპას „მიავიწყდა“ ცივილიზაციასა და ბარბაროსობას შორის გამართული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რაც სირია-ერაყში მიმდინარეობს და რასაც თავის დროზე მწვანე შუქი აუნთეს ევროპელებმა და ამერიკელებმა. სწორედ მათი ფინანსური და სამხედრო დახმარების წყალობით შექმნილი „ისლამური სახელმწიფო“ – „გასუქებული“, მომძლავრებული, მუსრს ავლებს სირია-ერაყის სამთავრობო ძალებს და ქალაქს-ქალაქზე იკავებს.

21 მაისს „ისლამური სახელმწიფოს“ „ჯარმა“, ბრძოლების შედეგად, ხელში ჩაიგდო სირიის ქალაქი პალმირა, 18 საუკუნის წინათ შექმნილი სასწაული, მსოფლიო კულტურისა და ხელოვნების, უძველესი ისტორიის მატარებელი. რა ბედი ეწევა მას, ალბათ, წინასწარ უნდა ვიცოდეთ.

„ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტები პალმირას ისეთ რეცეპტს გამოუწერენ, როგორც ძველი ქალაქის მოსულის არტიფაქტებს. საუკუნეების წინათ ადამიანის ხელით შექმნილი უნიკალური ხელოვნების ნიმუშები ბარბაროსთა ხელით ნაკუწებად იქცა. ვინ არის დამნაშავე ყოველივე ამაში? უპირველესად, ის (ისინი), ვინც სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის დასამხობად კვებავდა, აიარაღებდა, თავზე ხელს უსვამდა ტერორისტულ ორგანიზაცია „ალ ქაიდას“ ფილიალს სირიაში – „ჯებხატ ან ნუსრას“ – „ისლამური სახელმწიფოს“ ფუნდამენტს.

ჩვენ კი ჯიქურ მივიწევთ ევროატლანტიკური სივრცისკენ. მივიწევთ და აინუნშიც არ ვაგდებთ, იგივე ევროპის ლიდერების, ბრიუსელის განწყობას ჩვენს მიმართ. რიგის სამიტის წინ ევროკავშირის ლიდერმა ტუსკმა საჯაროდ განაცხადა: „ასოცირებული წევრობა არ იძლევა ევროკავშირში გაწევრების შესაძლებლობას, არც დღეს და არც მომავალში. უკრაინას, საქართველოს, მოლდოვას ევროკავშირში შესვლის ოცნების უფლება აქვთ, მაგრამ სინამდვილე სხვაა“.

ჩვენს ხელისუფლებას, რომელიც საწინააღმდეგოს ჩაგვჩიჩინებს, არც გერმანიის კანცლერის განცხადებისთვის მოუსმენია. უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით მან თქვა: „მართალია უკრაინა-საქართველომ რაღაც გააკეთეს ჩვენი დავალების შესრულებისთვის, მაგრამ ეს საკმარისი არ არის“. სხვას რას იტყვის, როდესაც დავალებული 13 პუნქტიდან, მხოლოდ 2-ს შეასრულებ?

ის, რომ „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ სამიტს 6 ადრესატი ქვეყნიდან, ორის – ბელარუსის და აზერბაიჯანის პრეზიდენტები არ დაესწრნენ, ხოლო სომხეთ-ბელარუსის დელეგაციებმა კატეგორიული უარს განაცხადეს საერთო დოკუმენტის ხელისმოწერაზე, ვინაიდან იქ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია იყო დაფიქსირებული – სამიტის წარმატებაზე ნამდვილად არ მეტყველებს და არა მარტო სამიტის, არამედ თვით ამ პროგრამის – შვედეთ-პოლონეთის მიერ შექმნილის, რომელსაც ნულის დონეზე უნდა დაეყვანა რუსეთის არსებობა ყოფილ საბჭოთა 6 რესპუბლიკაში.

არ გამოვიდა. არც ჩვენთვის შეპირებული „გაბედნიერება“ გამოვიდა, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება, ვითარცა ჯიუტი თხა რქებით ასკდება დაკეტილ კარს, ღიაააო რომ გვეუბნებიან. რას ნიშნავს ეს, თუ არა გონების სიჩლუნგეს, თავხედობას, ძალით შეტენვას, უთავმოყვარეობას, მაგრამ ასეთები რომ არ არიან საქართველოში მცხოვრებნი? ასეთი ხელისუფლებაა, რომელიც უდავოდ იმსახურებს ხალხის რისხვას.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

№95. სამშაბათი, 26 მაისი, 2015 წელი.

საქვეყნო საქმეს უმაგრებს საძირკველს

წარმატებული მეწარმე, დიდბუნებოვანი ქველმოქმედი, უპრეტენზიო მეცნიერი და, რაც მთავარია, – კაცი!

დიახ, სწორედაც რომ, კაცი! ყოველგვარი ისეთი თავსართ-დამატების გარეშე, როგორიცაა კაცური კაცი! ცოტათი თუ გადავაფრაზირებთ პოეტურ სტრიქონს, — ის კაცი არის, კაცისა აქვს ყველა თვისება...

— კაცს ველოდებიო, — ათქმევინა თავის ერთ პერსონაჟს გურამ დოჩანაშვილმა.

— კაცი მომცა, ღონდებოდეს, ქვეყნის სატკივარი სჭირდებს, ჭიქა მიეწოდებოდეს, დალაპარაკება ღირდესო, — ნატრობდა მურმან ლებანიძე.

დიახ, კაცი იყო იმთავითვე ქვეყნისა და საზოგადოების უმთავრესი საფიქრალი და იმედი — ქვეყნის ინტერესებით, მშობელი ერის კეთილდღეობით სისხლხორცეულად დაინტერესებული და საამისოდ ყველაფრის გაღებისთვის დღენიადაგ მზადმყოფი კაცი.

გადაჭარბებულად ნურვინ ჩაგვითვლის ჩვენ, ამ წერილის ავტორებს, მისი დიდი სამეგობროს მცირე ნაწილს, ვისაც მასთან ხანგრძლივი მეგობრობისა და საქმიანი თანამშრომლობის ბედნიერება გვქონია, თუ ვიტყვით, რომ სწორედ ერთი ასეთი კაცია ДЕМУР ГАДЕЛИА, რომელიც ხვალ 75 წლისა ხდება.

ვინც მას იცნობს, უთუოდ დაგვეთანხმება ამაში.

იგი ჭეშმარიტად ფენომენალური შესაძლებლობების ადამიანია, ულევი ენერგიის პატრონი, დაწყებული საქმის მუდამ ბოლომდე მიმყვანი. და რაც მთავარია, ის ყოველთვის ზუსტად გრძნობს დროის მოთხოვნებს და ამის გამო მუდამ ავანგარდშია, მუდამ ახალგაზრდა ნოვატორია.

საიდან იღებს სათავეს მისი სიდარბაისლე, პროფესიონალიზმი, აკადემიზმი ყოველგვარ საქმიანობაში, გულის სიღრმემდე განცდა ქვეყანაში არსებული პრობლემებისა, თავდადება მეგობრობაში და, საერთოდ, მისი შესანიშნავი სხვა პიროვნული თვისებები, რითაც ასე გხიბლავს და გიზიდავს იგი?

ყოველივე ეს სათავეს იღებს ცხოვრების იმ სტილიდან, რომელიც გამეფებული იყო გადელიების მრავალრიცხოვან ოჯახში, სადაც ჩამოყალიბდა კიდეც დემურ გადელიას მებრძოლი სული. სწორედ იქ ჩაეყარა საფუძველი მის პიროვნულ სიძლიერეს, სწორედ იქ, ჯერ კიდევ პატარა ბავშვობაში იგრძნო ფიზიკური შრომის სიმძიმე-ფასიც და ოფლით მოპოვებული გასამრჯელოს სიტკბოც...

არცთუ ისე იოლი, მაგრამ შინაარსიანი და საინტერესო გზა განვლო ბატონმა დემურმა უბრალო მუშიდან ქვეყანაში ერთ-ერთი უმსხვილესი კორპორაციის ხელმძღვანელობამდე. მისი ინიციატივით და უშუალო თავკაცობით ჩამოყალიბებული მცირე საწარმო უნარიანი და შემოქმედებითი საქმიანობით მენეჯმენტის დონით, შრომის ორგანიზაციის და პირობების ხარისხით მალე აქცია მეურნეობრიობის მაღალეფექტიან ორგანიზაციად.

ერთი საგაზეთო სტატია ვერ დაიტევს იმ საქმეთა ჩამონათვალსაც კი, რაც უკეთებია თავისი შრომითა და შემოქმედებითი საქმიანობით. დ. გადელიას მოღვაწეობას თვისობრივად ახალი იმპულსები მიეცა მას შემდეგ, რაც საქართველომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა და დაიწყო ახალი ტიპის სახელმწიფოსა და ახალი ტიპის ეკონომიკის მშენებლობა. იგი აქტიურად, მისთვის ჩვეული სიმტკიცით და ოპტიმიზმით, შრომისმოყვარეობითა და მიზანდასახულობით ჩაება ქვეყნის აღმშენებლობის რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესში.

ინჟინერ-მექანიკოსი, ინჟინერ-მშენებელი, ეკონომისტ-ფინანსისტი — ეს ის სპეციალობებია, მან შესაბამისი უმაღლესი განათლების მიღებით რომ აითვისა. რაც მთავარია, შეძენილი ცოდნა მან რეალურ ფაქტორად აქცია, რამაც მისი წარმატებული კარიერა განაპირობა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების რთული პროცესების მექანიზაციის დანერგვაში ახალგაზრდა ინჟინერი რესპუბლიკაში ნოვატორ ინჟინრად აღიარეს.

კარიერაში აღმასვლასთან ერთად ყალიბდება მისი პიროვნული თვისებებიც. საიმედო მეგობარი და დასაყრდენი, ურთიერთობაში უღალატო, პირდაპირი და სამართლიანი, ადამიანური ღირსებებით უხვად დაჯილდოებული, რაინდული ბუნების, მოყვასისადმი კეთილგანწყობილი, თავმდაბალი, ყოველგვარ ამბიციებს მოკლებული, უაღრესად კეთილშობილი.

მისმა ამ თვისებებმა მნიშვნელოვნად განაპირობა ის, რომ სამოქალაქო დაპირისპირების მიუხედავად, რაც განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა სამეგრელოში, საწარმოს, რომელსაც დ. გადელია ხელმძღვანელობდა, ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია მუშაობა. პირიქით, ხელმძღვანელის მაღალორგანიზებულობის, პრინციპულობის, ერუდიციისა და ადამიანებთან ურთიერთობის განსაკუთრებული თვისებების მეშვეობით საწარმო ტექნოლოგიურად განახლდა, ორგანიზაციულად უფრო სრულყოფილი გახდა, სამუშაო ადგილები შეემატა.

ეს მაშინ, როცა რაიონში იმ დროისთვის არსებული 25 სამშენებლო ორგანიზაციიდან, სამი სამშენებლო ტრესტიდან ვერც ერთმა ვერ გაუძლო დროის გამოცდას და ისე აღიგავა პირისაგან მიწისა, რომ მათი არსებობა მხოლოდ მეხსიერებას თუ შემორჩა ბუნდოვნად.

ბოლო წლებში საიმედოდ გამოჩნდა ბატონ დემურ გადელია ახალ ასპარეზზეც. მისმა მდიდარმა გამოცდილებამ, ფართო განათლებამ, შრომისმოყვარეობამ, სიახლეებისადმი დამოკიდებულებამ მას გადაადგმევინა ლოგიკური ნაბიჯი — საკუთარი ძალები მოესინჯა მეცნიერებაში. ეს ნაბიჯიც წარმატებული გამოდგა მისთვის. დღეს იგი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორია, პროფესორი, მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და 3 მონოგრაფიის ავტორი. იგი სამართლიანად ითვლება საქართველოში რეგიონალური ეკონომიკის ერთ-ერთ წარმატებულ მკვლევარად.

ბატონმა დ. გადელიამ უმტკივნეულოდ, ასევე წარმატებულად დაძლია სამეურნეო საქმიანობიდან პოლიტიკურ ასპარეზზე გადასვლის წინააღმდეგობრივი პროცესიც. სენაკის რაიონის მოსახლეობამ მას ორჯერ გამოუცხადა ნდობა და დიდი უპირატესობით აირჩია საქართველოს პარლამენტის წევრად, მაჟორიტარ დეპუტატად. აქაც თავისი წონადი სიტყვა თქვა და დამსახურებულად იქნა აღიარებული რაიონის მოსახლეობის საიმედო პოლიტიკურ მოღვაწედ. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ხელმძღვანელობდა რაიონულ საარჩევნო შტაბს კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ და უდიდესი წვლილი შეიტანა საარჩევნო კამპანიის მაღალორგანიზებულად ჩატარების საქმეში.

ბატონი დემურ გადელია კვლავ ჩვეული რიტმით იღვწის ქვეყნის აღმშენებლობით საქმიანობაში, უნარიანად ხელმძღვანელობს „არქეოპოლისის“ სამეთვალყურეო საბჭოს და დიდ საქმეებსაა შეჭიდებული. ამჟამად აქ 500-ზე მეტი მუშა-მოსამსახურეა დასაქმებული. საწარმოს შრომითი კოლექტივი ძირითად ბირთვს ის ადამიანები წარმოადგენენ, რომლებიც დაარსების დღიდან იღვწიან აქ და მაღალპროფესიული შემოქმედებითი შრომით ქმნიან საწარმოს სახელოვან ისტორიას.

ესეც, პირველ ყოვლისა, ბატონი დემურის უშუალო დამსახურებაა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მის სახელთანაა დაკავშირებული დასავლეთ საქართველოში საავტომობილო გზების, ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება. მათ შორის აღსანიშნავია: თბილისი-სენაკი-ლესელიძის, სენაკი-ფოთი-სარფის, სენაკი-ჩხოროწყუ-წალენჯიხა-ზუგდიდის, დარჩელი-განმუხურის, ზუგდიდი-მესტია-ლასდილის, მარტვილი-ტალერი-ჩხოროწყუს, ნოქალაქევი-ლეძაძამე-დიდი ჭყონის, სენაკი-ბანძა-ხონის, აბაშა-მარტვილის, ქუთაისი-გეგუთი-საყულიას, ბაში-იანეთის, ხონი-მათხოჯი-გორდის და მრავალი სხვა, რომელთა საერთო ღირებულება ათობით მილიონი ლარით განიზომება. მარტო მიმდინარე წელს საწარმო 30 მილიონამდე ლარის სამუშაოებს შეასრულებს უახლესი ტექნოლოგიების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ჭეშმარიტად განუზომელია დ. გადელიას მიერ გაწეული საქველმოქმედო საქმიანობის მასშტაბები. ამ დანიშნულებით ყოველწლიურად ასობით ათასი ლარი იხარჯება. დახმარება ეწევა მძიმე მატერიალურ პირობებში მყოფ ოჯახებს, ავადმყოფებს, პენსიონერებს, სტუდენტებს, შემოქმედებით ჯგუფს, სპორტსმენებს, გარდაცვლილთა ოჯახებს და ა. შ.

ქველმოქმედების მნიშვნელოვანი ობიექტია ადამიანთა სულიერი აღზრდისთვის ზრუნვა. ამ მიზნით საკმაოდ სოლიდური სახსრები იხარჯება ეკლესია-მონასტრების მშენებლობის, რესტავრაციის, კეთილმოწყობის სამუშაოთა შესასრულებლად. 2014 წელს დასრულდა წმინდა ალექსი ბერის (შუშანიას) სახელობის ტაძრის მშენებლობა, რესტავრირებულია ფაქტობრივად დანგრეული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, მამათა მონასტერი მარტვილში, აშენდა და კეთილმოეწყო საკათედრო ტაძართან მისასვლელი გზა, მნიშვნელოვანი წვლილია შეტანილი სენაკის იოანე ნათლისმცემლის სახელობის, შხეფის მთავარანგელოზის სახელობის მონასტრების, რეგიონის სხვა ეკლესიების მშენებლობის საქმეში.

ბატონი დემურ გადელიას ღვაწლი შეუმჩნევლად არ დარჩენილა. იგი ღირსების ორდენის ორგზის მფლობელია. მინიჭებული აქვს „საპატიო მეგზევის“ წოდება. არის სენაკის საპატიო მოქალაქე. მაგრამ მთავარი მაინც ის დიდი სიყვარულია, რომელსაც იგი ყოველდღე გრძნობს მადლიერი ადამიანებისგან.

ალბათ შემთხვევით არ უთქვამს მასზე ერთ ცნობილ პოეტს **„ქვრივ- ობლების გამკითხავი, ქველმოქმედი, უპოვართა და უბედოთა დამპურებელი, ქართული ზნეობისა და ტრადიციების დამფასებელი, ლაკადური მირონით მონათლული, არქეოპოლისისა და ძველი ციხე-კოშკების გუშაგი და მეციხოვნე“**.

...უსაზღვრო იყო დემურისა და მისი ერთგული თანამეცხედრის, მუდამ მის გვერდით მდგომი და ყველა საქმეში მხარდამჭერი შესანიშნავი ქალბატონის ნელი გელაშვილის სიხარული, როცა მათმა ერთადერთმა ვაჟმა, პიროვნული თვისებებით მამის ალიკვალმა დათომ, ზაზაძეების ტრადიციულ ქართულ ოჯახში აღზრდილი ულამაზესი ქრისტინე შემოიყვანა ოჯახში და მალე პატარა დემურ გადელიაც გაჩნდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ქალბატონი ნელი ისე გარდაიცვალა, რომ სამიოდ თვესღა იყო შვილიშვილის გაჩენით ბედნიერი.

თუმცა, ალბათ, მისი სული უთუოდ იგრძნობს იმ სიხარულს, რასაც, ღვთის წყალობით, დემურ გადელიას ოჯახში მალე ახალი სიცოცხლის გაჩენა შემოიტანს მეორე შვილიშვილის სახით!

ღმერთმა ამრავლოს, აბედნიეროს, ახალი წარმატებები უმრავლოს და ჯანმრთელი დღეგრძელობა მისცეს დემურ გადელიას, კაცს, რომელიც, მართლაც რომ, საძირკველს უმაგრებს საქვეყნო საქმეს.

მრავალჟამიერ შენი სიცოცხლე, ჩვენო საამაყო ძმაო და მეგობარო!

მეგობრების ჯგუფი.

P. S. ჩვენ, ამ წერილის ავტორებმა, იმიტომ ვარჩიეთ ინკოგნიტოდ დარჩენა, რომ მოგვერიდა, ამით გამოვრჩეულიყავით დემურ გადელიას უამრავი მეგობრისგან, რომელთაგან ბევრს, შესაძლოა, ჩვენზე მეტიც ჰქონდეს მასზე სათქმელი და თქმის მორალური უფლებაც. ყველა მათგანის გვარსახელს კი რა ქაღალდი დაიტევს...

მოქმედების დროა!

ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო

დღეს 26 მაისია. საქართველოს დამოუკიდებლობის დღე!

„ქართული ერთობის დარბაზი“ ულოცავს სრულიად საქართველოს, საქართველოს მეგობრებს ამ საკრალურ და ისტორიულ თარიღს.

ჩვენ ყველას გასაგონად ვაცხადებთ, რომ საქართველოს რეალური დამოუკიდებლობაა მთავარი და ეს იქნება მაშინ, როცა აღსრულდება ერის სულიერი მამის ილია ჭავჭავაძის ანდერძი: „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს“. ეს იქნება მაშინ, როცა საქართველოს ეყოლება თავისი ქვეყნისა და ხალხის და არა გარე ძალთა მსახური ხელისუფლება.

სწორედ ამიტომ მოვაწერეთ ჩვენ ხელი საზოგადო მოღვაწეთა ინიციატივით და მეცნიერთა მიერ ხალხთან დათათბირებით შედგენილ დოკუმენტს **„ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“** , რომელსაც **„მოქმედების მანიფესტი“** ვუწოდეთ. ეს დოკუმენტი საყოველთაო აღიარებას იღებს და შეფასებაც, რომ იგი არის ბოლო პერიოდის ერთ-ერთი გამორჩეულად ქართული, გამორჩეულად ღრმა და სახელმწიფოებრივი დოკუმენტი — საყოველთაოა.

ამ დოკუმენტში მოცემულია დღევანდელობის ანალიზიც, სირთულეთა მიზეზებიც, მოხაზულია მოქმედების კონტურებიც და ჩვენი მიზანიც. ხაზგასმულია, რომ ქვეყანა აცდა ბუნებრივი განვითარების გზას, ევროპა — აზიის გზაჯვარედინზე მდებარე დიდი ისტორიის ქვეყნის ურთიერთობა გარე სამყაროსთან ერთვექტორული გახდა. ეს მიჩნეულია ქართული აზროვნების გასაჭირად.

დღევანდელი საქართველოს რეალური მდგომარეობა ორი მიზეზით არის ახსნილი:

პირველი პრობლემა ძირითადად ქვეყნის გარეთაა და მდგომარეობს იმაში, რომ ვერ შევძელით გარე სამყაროს, უპირველესად, დემოკრატიულ მსოფლიოს რეალურად ვაჩვენოთ ქართული სახელმწიფოებრიობის დიდი ისტორია, მისი დემოკრატიული ბუნება. ამის შედეგია, **ერთი მხრივ,** ის, რომ დემოკრატიულმა მსოფლიომ არა თუ არ იცის ჩვენი ქვეყნის ისტორია და დამსახურება მსოფლიო ცივილიზაციაში, ხალხის დემოკრატიული ბუნება, არამედ , სამწუხაროდ, გვიყურებენ, როგორც განვითარებად, ზოგჯერ კი, როგორც განუვითარებელ ქვეყანას და ამიტომ გვექცევიან, როგორც სატელიტ სახელმწიფოს. **მეორე მხრივ,** სავალალოა და აზროვნების სიძნელეა ის, რომ უკვე საუკუნეებია, რეალურ კოლონიზატორებს მეგობრებად აღვიქვამთ და ხსნას ბელადში ვეძებთ.

მეორე პრობლემა ქვეყნის შიგნითაა და მდგომარეობს იმის გაუცნობიერებლობაში, რომ საქართველოს დემოკრატიული მომავალი — ეს არის თავისუფალი ადამიანი... ყოველ ადამიანს აქვს ღვთისაგან ბოძებული ბუნებითი უფლებები: სიცოცხლის უფლება, სიტყვის უფლება, საკუთრების უფლება და უკეთესი ცხოვრებისაკენ მისწრაფების უფლება... ამის გარანტი ხელისუფლება უნდა იყოს და ეს მისი კონსტიტუციური მოვალეობაა. ხელისუფლება უნდა იყოს იმის გარანტი, რომ, სიცოცხლის უფლებიდან გამომდინარე, შეუქცევადად უზრუნველყოს ადამიანისათვის: საცხოვრისი, საარსებო მინიმუმი, ჯანმრთელობის დაცვა და განათლების მიღება. სწორედ ასეთი ხელისუფლება იქნება ეროვნული, ხელისუფლება ხალხისათვის.

ამ დოკუმენტის ნიშანსვეტია ადამიანი, მისი თავისუფლება. ნათქვამია: „ყოველი ადამიანი უნდა აცნობიერებდეს ბიბლიურ შეგონებას: თავისუფლებისათვის გაგათავისუფლათ ღმერთმა და ნუ იქნებით ადამიანთა მონები“...

დოკუმენტი, **ერთი მხრივ,** ამკვიდრებს, რომ დღეს ქვეყნისთვის უმთავრესია ქართული აზროვნების დამკვიდრება, ყოველივე ქართულის დაცვა, ყოველივე ქართულის განვითარება, რადგან „ქართული“ ნიშნავს პლანეტარულ აზროვნებას და მოიცავს მთელს საქართველოს და, **მეორე მხრივ,** აღიარებს გლობალიზაციას, როგორც კაცობრიობის განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას და მთავრად მიიჩნევს არა მის წინააღმდეგ ბრძოლას, როგორც ეს დღეს ხდება საზოგადოების დიდ ნაწილში, არამედ უმთავრესად თვლის ქართული ცნობიერების, ქართული კულტურის, ქართული ტრადიციების დაცვა-შენარჩუნება გლობალიზაციის ურთულეს და უმძიმეს პერიოდში.

ამ დოკუმენტის შექმნის სათავეებთან დიდი საზოგადო მოღვაწეები, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა, „სახელმწიფო კაცები“ დგანან. სწორედ მათი დიდი სურვილია, რომ „მოქმედების მანიფესტს“ შემოუერთდეს სრულიად საქართველო, ჩვენი სამშობლოს ყველა მეგობარი, რომ სწორედ ასეთ ერთობას შეუძლია დაასრულოს ქვეყნის გარედან მართვა, დაიბრუნოს საქართველო, გახადოს იგი რეალურად დამოუკიდებელი და დემოკრატიული, გვაცხოვროს სულიერებითა და სიყვარულით.

ყოველივე ამის საფუძვლად კი, ბატონ რეზო ჩხეიძეს, მართლაც სახელმწიფო კაცს, „მოქმედების მანიფესტის“ შექმნის ინიციატორს, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი უწმინდესი და უნეტარესი და ისტორიული ქართული ტოლერანტობით შექმნილი თაობათა ერთიანობის დიდ მოძრაობის დაწყება მიაჩნდა. ამ უკანასკნელის სათავეში უნდა ყოფილიყო მეცნიერებათა აკადემია, სტუდენტი ახალგაზრდობა, ეროვნული სულის კულტურის მოღვაწეები ქართული სულისკვეთების დიდი ძეგლის „კიდევაც დაიზრდებიან“ ავტორის, მსოფლიოში მონუმენტური ქანდაკების გამორჩეულ ლიდერად აღიარებული მერაბ ბერძენიშვილის თავკაცობით. ეს იდეა სრულად გაიზიარა „ქართული ერთობის დარბაზის“ კონგრესის გელათის 8 თებერვლის, თბილისის 9 მარტის და ბათუმის 27 მარტის სესიებმა.

ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს

„ქართული ერთობის დარბაზის“ განცხადება

დღეს ჩვენ განსაკუთრებული შეხვედრა გვაქვს. მის განსაკუთრებულობას უპირველესად 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ჩვენი ერთგულება „მოქმედების მანიფესტისადმი“ და ის განაპირობებს, რომ ჩვენ დღეს პირველები ვნახავთ რეზო ჩხეიძის უნიკალურ წიგნს: „ჩემი ცხოვრება, ფილმები, მეგობრები, შვილები, წარმოდგენილი იქნება კინორეჟისორების კოტე ვერულაშვილისა და ზვიად მესხის ფილმი რეზო ჩხეიძეზე „ის, რაც მახსოვს“.

ასეთი მასშტაბის ჩვენი პირველი შეხვედრაა ბატონი რეზოს გარდაცვალების შემდგომ.

დიდი კაცი დააკლდა საქართველოს. ქართული ცნობიერების პლანეტარულად მოაზროვნე კაცი, მართლაც „მსოფლიო ელჩი“ მოქმედებით და ცხოვრების წესით,

მთელი მისი ცხოვრებაა ამის დასტური. ბოლო წლები კი განსაკუთრებულად: მან დაასრულა ფილმი „ქრისტეს საფლავზე დანთებული სანთელი“. ვერ იტანდა დაპირისპირებას და სწორედ ჰარმონიზაციისა და თანამშრომლობის განწყობით მისი ინიციატივით შეიქმნა „ქართული ერთობის დარბაზი“. ... გრძნობდა, რომ ქართული სატელევიზიო სივრცე ქართული აღარ იყო, უფრო მეტიც, ებრძვის საქართველოს და შექმნა ტელევიზია „ქართული“ , რომელიც გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე საჩუქრად გადასცა საქართველოს, ქართველ ხალხს, საქართველოს შვილებსა და მეგობრებს.

მხოლოდ დიდ კაცსა და დიდ მოაზროვნეს შეეძლო ეთქვა სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე: „ეს არის ჩემი თხოვნა ერისა და ბერისადმი, იქნებ უკანასკნელიც“.

რას სთხოვს რეზო ჩხეიძე ერსა და ბერს?

● **გიყვარდეთ საქართველო, გაუფრთხილდით საქართველოს, დაიცავით საქართველო!**

● **შეკრულ გათითოკაცებული სიკეთე ბოროტების სიყვარულით დასამარცხებლად და სწორედ ამ განწყობით, მომავლის საქართველოსათვის სოლიდარული პასუხისმგებლობით ჩავატაროთ ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და მეგობართა მსოფლიო კონგრესი, აღვნიშნოთ მომავალ წელს გენიალური შოთა რუსთაველის 850 წლისთავი, შევქმნათ დიდი ქართული პროგრამა „საქართველო დაჭრილი მზეა..., მაგრამ მაინც მზე“.**

● **რეზო ჩხეიძე ითხოვს დავით აღმაშენებლის უნივერსალური პრინციპის: „მხარდაჭერა ძლიერს - დაცვა სუსტს“, ანუ იმ პრინციპის საქართველოში დამკვიდრებას, რომელიც XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს მომავლად აღიარეს პლანეტის გამოჩენილმა ადამიანებმა შვეიცარიის ქალაქ დავოსის საერთაშორისო კონგრესზე.**

● **რეზო ჩხეიძე ხელისუფლებას, პოლიტიკურ პარტიებს, პოლიტიკოსებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიის საშუალებებს სთხოვს ემსახურონ საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს და არა უცხოელ პატრონებს... უსმინონ ერის სულიერი მამის, პატრიარქის შეგონებას და თავი დაიხსნან კატეგორიული აზროვნებისა და რადიკალიზმისაგან.**

● **რეზო ჩხეიძე საქართველოს მოსახლეობისა და, უპირველესად, ქართული ინტელიგენციის შეცდომად თვლიდა, რომ პარტიებს დავუთმეთ საქართველო, რაც ბოლო წლების ყველა უბედურების სათავე გახდა. მისი მოწოდებაც „დავიბრუნოთ საქართველო!“ რადიკალიზმით სავსე პოლიტიკოსებისა და პარტიებისაგან, მათი უცხოელი პატრონებისაგან ქვეყნის დახსნას ნიშნავს.**

ასე კარგად, ლაკონურად მაგრამ მასშტაბურად ჩამოაყალიბა ამ დიდმა კაცმა ყოველი ქართველის, საქართველოს ყოველი შვილის და საქართველოს ნამდვილ მეგობართა გულისთქმა. პრაქტიკულად, ეს არის უფროსი თაობის ანდერძი, ისეთივე მამაშვილური, როგორიც მათ მიიღეს წინა თაობებისაგან.

ჩვენ, ბატონ რეზოსთან ერთად „ქართული ერთობის დარბაზის“ დამფუძნებლები, მხარდამჭერები და გულშემატკივრები ვართ ის ხალხი, ვინც ვიზიარებთ პასუხისმგებლობას დღეს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობისათვის, რაც მთავარია, ვგრძნობთ პასუხისმგებლობას მეცნიერთა მონაწილეობით შექმნილი და მის სახლში ხელმოწერილი **„მოქმედების მანიფესტი - ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“** -ს პრინციპების განხორციელებისათვის და ერთად დაწყებული საქმეების ბოლომდე მიყვანისათვის.

ყველაფერ ამას ვაცხადებთ 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ეროვნული განწყობის ადამიანთა მონაწილეობით. სწორედ ბატონი რეზოს მიერ საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის, საქართველოს შვილებისა და საქართველოს მეგობრებისათვის საჩუქრად გადაცემულ ტელევიზიაში, იმ ტელევიზიაში, რომელსაც ყველასათვის სანუკვარი სახელი ქვია: „ქართული“, რომელიც უკვე მის სიცოცხლეშივე გამოცხადდა საქციო საზოგადოებად, რომელიც განახლებული პროგრამით იწყებს მუშაობას და რომელსაც თითოეული ჩვენგანის, ქართული სულის შეძლებულთა — XXI საუკუნის სარაჯი შვილთა და ზუბალა შვილთა დიდი მხარდაჭერა სჭირდება.

რეზო ჩხეიძეს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ჩვენ ძალიან მალე ბევრზე ბევრნი გავხდებოდით და ასეთი დიდი ერთსულოვნებით შექმნილი ტელევიზია დიდი ქართული მონაპოვარი და უნიკალური ფაქტი იქნებოდა მსოფლიო სატელევიზიო სივრცეში.

ასეც იქნება. ეს ყველას ღირსების საქმეა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ნათქვამ ამ სიტყვას დიდი ძალა აქვს. დიდი ძალა აქვს იმას, რომ „ქართული ერთობის დარბაზის“ მოქმედების მთავარი საყრდენი სულიერება და მეცნიერება იქნება.

ჩვენც ვინყებთ მოქმედებას.

ივლისის ბოლომდე საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდება „ქართული ერთობის დარბაზის“ კონგრესის სესიები, სექტემბერ -ოქტომბერში კონგრესის სესიები ჩატარდება თურქეთში, ირანში, საფრანგეთში, რუსეთში, გერმანიაში, საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, ავსტრიაში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ანუ საზღვარგარეთის იმ ქვეყნებში, სადაც ისტორიულად თუ ქვეყნის ბედუკულმართობის, შექმნილი სიმძიმეების გამო ცხოვრობს ქართველობა, საქართველოს შვილები.

უახლოეს პერიოდში ყველა ამ ქვეყანაში შეიქმნება საორგანიზაციო კომიტეტები და დაიწყება მუშაობა კონგრესის საზღვარგარეთის სესიების მომზადებისათვის და ყველაფერი ამის პირველი ეტაპი დასრულდება ოქტომბრის ბოლოს, თბილისობაზე, როცა შედგება ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესის და შოთა რუსთაველის 850 წლისთავის აღნიშვნის მოსამზადებელი შეხვედრა, რომელსაც წარედგინება მომავლის დიდი ქართული პროექტი **„საქართველო დაჭრილი მზეა“**.

ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს და უამრავი ადამიანის ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ ერთგულებას „მოქმედების მანიფესტისადმი“ და ყველას გასაგონად ვამბობთ:

მოქმედების დროა!

26 მაისი, 2015 წელი
საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.

P. S. შეხვედრა შედგება 26 მაისს, 16 საათზე ტელეკომპანია „ქართულის“ საკონფერენციო დარბაზში.

ტელეკომპანია „ქართულის“ მისამართი: ბოგდან ხმელნიცკის 48 (სახლი — ა) (I კორპუსის გვერდით, მარცხნივ).

◎ ჯანდაცვა

კიბო არ არის სასიკვდილო განაჩენი, ეს დაავადებაა

(მესამე გვერდიდან)

არსად მსოფლიოში არ მინახავს ბილბორდები საზღვარგარეთ სამკურნალოდ მიპატიჟებით. გული მტკივა, როდესაც ვხედავ, თუ როგორ აბამენ სამედიცინო ბიზნესის მახეში ადამიანებს და არწმუნებენ, რომ საზღვარგარეთ ისინი მიიღებენ უკეთეს სამედიცინო მომსახურებას, უფრო სრულყოფილი დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შანსს. ...და რა, რას სთავაზობენ ეს კომპანიები ჩვენს მოქალაქეებს ისეთს, რისი მიღებაც არ შეიძლება საქართველოში? – გარდა იმისა რომ უნდა გასწიონ 10-ჯერ მეტი ხარჯი, დაბრუნდნენ და საბოლოოდ მაინც აქ ჩაიტარონ მკურნალობა? შეიძლება ძალიან პირდაპირი და მკაცრი ვიყო ჩემი შეფასებებით, მაგრამ მერწმუნეთ, ეს ბიზნესია და არა მედიცინა! როდესაც მედიცინას უყურებ, როგორც მხოლოდ ბიზნესს, ეს კატასტროფაა.... მაგალითისთვის, ევროპის ბევრ განვითარებულ ქვეყანაშიც კი გაგიჭირდებათ, მონახოთ ისეთი კლინიკა, სადაც დგას 5 მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფი და 2 უახლესი თაობის სხივური ამაჩქარებელი. იქ პაციენტებს უტარდებათ მკურნალობა ჩვეულებრივ, ძველ აპარატებზე და გართულებების პროცენტიც, შესაბამისად, გაცილებით მაღალია, ვიდრე ჩვენთან.

თუმცა, მინდა, გითხრათ, რომ ამ ბოლო დროს საკმაოდ ბევრი შემთხვევაა, როდესაც პაციენტი მოდის და ამბობს, რომ მას, პირიქით, საზღვარგარეთ ურჩიეს ჩვენთან მოსვლა გამოკვლევებისა და მკურნალობისთვის. ამასაც მარტივი ახსნა აქვს: ჩვენს ინსტიტუტს ყოველთვიურად უამრავი უცხოელი კოლეგა და სამედიცინო ფირმების წარმომადგენელი სტუმრობს. როგორც წესი, ისინი ისეთი გაკვირვებულნი და აღფრთოვანებულნი რჩებიან ჩვენი შესაძლებლობებით, უჩნდებათ მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი.

ანუ რეალურად, როდესაც ქვეყანაში არის ასეთი მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და უმაღლესი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალი, შესაძლებელია გამკლავება ნებისმიერ დაავადებასთან.

– კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აღიარებული ლიდერია რადიოლოგიის და ქირურგიის მთელ რიგ მიმართულებებში. ეს არის საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი სამკურნალო-დიაგნოსტიკური დაწესებულება, რომელიც აღჭურვილია უახლესი თანამედროვე სადიაგნოსტიკო და სამკურნალო აპარატურით. მაგრამ მაინც ხომ არ გეგმავთ უახლოეს მომავალში რაიმე სიახლეების დანერგვას?

– სიახლეების და ინოვაციების გარეშე ცხოვრებას ინტერესი არა აქვს. ყოველთვის საზოგადოებისა და პაციენტების მოთხოვნა განსაზღვრავს ჩენს მიერ გაფართოვების, სიახლეების დანერგვის, რაიმეს შეძენა-არ შეძენის საკითხს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში არც ერთ სხვა დაწესებულებაში არ არის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ისეთი შესაძლებლობები, როგორიც ჩვენს ინსტიტუტშია. მაგალითად, შევიძინეთ და გავუშვით ექსპლუატაციაში უნიკალური პათო-მორფოლოგიურ და იმუნოჰისტოქიმიური ლაბორატორიები. იმუნოჰისტოქიმიური კვლევა ტარდება LECA-ს ფირმის AUTOSTAINER BOND MAX-ის საშუალეიბთ, რომელსაც არა აქვს ანალოგი მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში. აპარატის სრულად ავტომატიზირებულმა რეჟიმმა მნიშვნელოვნად შეამცირა გამოკვლევის დრო – თუ ადრე იმუნოჰისტოქიმიის პასუხს ესაჭიროებოდა საშუალოდ 10-14 დღე, ამ აპარატზე პასუხი მზადაა პრაქტიკულად 2-3 დღეში. ამასთანავე, აბსოლუტურად გამოირიცხა ადამიანური (სუბიექტური) ფაქტორებით განპირობებული შეცდომები, რაც კვლევის სიზუსტის მაქსიმალურ გარანტიას იძლევა. ვაფართოებთ რადიოლოგიური დიაგნოსტიკის დიაპაზონებს; შევიძინეთ მეხუთე მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფი ზუსტად იმისთვის, რომ ამ გამოკვლევებზე არ იყოს რიგი და პაციენტებს რამდენიმე დღით ადრე არ უხდებოდეთ ჩაწერა გამოკვლევისთვის. სულ ახლახან შევიძინეთ Whole body MRI-ის – მთელი სხეულის მაგნიტურ რეზონანსული კვლევა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, ჩავატაროთ ადამიანის ორგანიზმის სრული მიმოხილვითი მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა და დავადგინოთ სიმსივნური პროცესის ლოკალიზაცია ადრეულ ეტაპებზე, როდესაც კლინიკური სიმპტომები ჯერ კიდევ არ არის გამოხატული. მინდა გითხრათ, რომ ინფორმატიულობის თვალსაზრისით ის უტოლდება და რიგ შემთხვევებში კი გაცილებით ეფექტურია PET-დიაგნოსტიკაზე. ჩავერთეთ ძუძუს და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამაში, რაც 40-დან – 70 წლამდე ქალბატონებს შესაძლებლობას აძლევს, უფასოდ ჩაიტარონ ჩვენს ცენტრში მამოგრაფიული გამოკვლევა და მამოლოგის კონსულტაცია, ხოლო 25- დან 60 წლამდე ქალბატონებს – საშვილოსნოს ყელის პაპ ტესტი... კიდევ რამდენიმე საინტერესო პროექტი გვაქვს გეგმაში – მათ შორის მოლეკულური გენეტიკის ლაბორატორია, რის გარეშეც დღეს წარმოუდგენელია ონკოლოგიური დაავადებების თანამედროვე მედიკამენტური მკურნალობა... უკვე ხელი მოეწერა კონტრაქტს და უახლოეს მომავალში ჩვენს ექიმებს ექნებათ შესაძლებლობა, განსაზღვრონ ამა თუ იმ სიმსივნის გამომწვევი გენეტიკური მუტაციები და მიზანმიმართულად გამოიყენონ ამ მუტაციების წინააღმდეგ შექმნილი ულტრათანამედროვე მედიკამენტები. ამასთან ერთად, გენეტიკური ანალიზი შესაძლებლობას იძლევა, განისაზღვროს ავთვისებიანი სიმსივნეებით ავადობის მემკვიდრეობითი რისკი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაავადებული პაციენტების შთამომავლობისათვის.

სერიოზული ამოცანა დავისახეთ – **გვინდა, შევქმნათ ისეთი ძლიერი ონკოლოგიური სამსახური, რომ არც ერთ ონკოლოგიურ პაციენტს არ მოუწიოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის საქართველოს საზღვრებს გარეთ გამგზავრება**. ჩვენ გვინდა, ჩამოვაყალიბოთ მკაცრი კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც ონკოლოგიურ პაციენტებს გაეწევათ საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული მკურნალობა და მაქსიმალური ყურადღება მიექცევა მკურნალობის ხარისხს. ონკოლოგია ძალზე სპეციფიკური და რთული დარგია, ყველა დაწესებულებას არ ძალუძს ამ სირთულეებთან შეჭიდება. დღეს ჩვენ ამისთვის საჭირო ყველა ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი გვაქვს. ეს სერიოზული გამოწვევაა, თუმცა, დარწმუნებული ვარ, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ამ ამოცანას ნამდვილად გაუმკლავდება.

ყოველი ახალი განხორციელებული პროექტი, ენთუზიაზმით ავსებს ადამიანს, და სწორედ ეს არის, ალბათ, ჩემი ენერგიის წყაროც. ძალიან ბევრი დადებითი ემოცია მოდის, როცა დასახულ მიზანს აღწევ.

ჩემთვის, როგორც ექიმისთვის და ადამიანისთვის ყველაზე მთავარი ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლეა. ექიმობა მოღვაწეობის განსაკუთრებული სფეროა, ვიტყოდი, ერთგვარი მოწოდებაა – ამ პროფესიის არჩევისას მზად უნდა იყო, საკუთარი ინტერესებიც კი დათმო სხვა ადამიანზე ზრუნვის სანაცვლოდ.

ესაუბრა
თეა მოსია

◎ მილოცვა

უშურველად გასცემს სიკეთესა და სითბოს

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, ცნობილ მეცნიერს, მკვლევართა და სპეციალისტთა მრავალი თაობის აღმზრდელს, მაღალი რანგის პედაგოგსა და შესანიშნავ ორგანიზატორს, ბატონ არჩილ სარუხანიშვილს ვულოცავთ დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წელს.

თბილისის მე-10 ვაჟთა საშუალო სკოლის წარმატებულად დამთავრების შემდეგ ბატონი არჩილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა (ამჟამად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური და მეტალურგიული ფაკულტეტი). სტუდენტობის წლებიდანვე სილიკატების ტექნოლოგიის კათედრაზე გამოიკვეთა მისი ინტერესი მინის თეორიისა და პრაქტიკის მიმართ.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბატონი არჩილი მუშაობას იწყებს თბილისის საშენ მასალათა კვლევითი ინსტიტუტის მინის ლაბორატორიაში ჯერ ლაბორანტად, შემდგომ – ინჟინრად. 1963-1965 წწ. იგი ლენინგრადის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტია, რომლის დამთავრების შემდეგაც წარმატებით იცავს ჯერ საკანდიდატო, შემდეგ კი სადოქტორო დისერტაციებს.

ბატონ არჩილის შემდგომი მოღვაწეობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს უკავშირდება. 1979-1982 წლებში იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის დეკანია, ხოლო 1982 წლიდან 2007 წლამდე ფიზიკური ქიმიის კათედრის გამგე. დღეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორია.

ბატონი არჩილი 1990-2014 წლებში იყო საქართველოს გამომგონებელთა და ინტელექტუალურ მესაკუთრეთა ასოციაცია „პარაგონის“ მთავარი მრჩეველი, „ევროსაიენსის“ საქართველოს განყოფილების ერთ-ერთი დამფუძნებელი, 2000-2008 წლებში რუსეთის მინანქრის სპეციალისტთა აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი, საქართველოს კერამიკოსთა ასოციაცია „კერამიკის“ ვიცე-პრეზიდენტი და ამჟამად ამ ასოციაციის ჟურნალის მთავარი რედაქტორის მოადგილეა.

დღეს ბატონ არჩილის სამეცნიერო-ტექნიკური და პედაგოგიური მოღვაწეობის ძირითადი მონაგარია: სამასამდე პუბლიკაცია სამამულო და უცხოურ სამეცნიერო-ტექნიკურ პერიოდიკაში, 70-მდე სამამულო და საერთაშორისო კონფერენციაში, სიმპოზიუმში, თათბირსა თუ კონგრესში მონაწილეობა, 5 მონოგრაფია, 60-მდე საავტორო მოწმობა გამოგონებაზე და პატენტი, 6 ძირითადი სახელმძღვანელო, 35-მდე სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა, 19 საკანდიდატო და 2 სადოქტორო დისერტაციების ხელმღვანელობა და კონსულტაცია, 5 აკადემიური დოქტორისა და 5 მაგისტრის მომზადება.

არჩილ სარუხანაშვილის მიერ განვლილი გზა სამშობლოს კეთილდღეობის, მეცნიერების და უმაღლესი სკოლის განვითარების უმწიკვლო, თავდადებული და ერთგული მოღვაწეობის მაგალითია. მეცნიერებაში და უმაღლესი სკოლის სასწავლო პროცესში შეტანილი წვლილით მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბუნებრივ და ტექნოგენურ მოვლენათა ახსნა-შემეცნებაში, ქიმიკოს-ტექნოლოგთა კადრის მომზადების მოდერნიზაციაში.

საქმის სიყვარული და პასუხისმგებლობა, ცხოვრებაში კანონმორჩილება, ირგვლივ მყოფი ადამიანებისადმი კეთილგანწყობა, ინტელიგენტურობა – აი, ის თვისებები, რითაც გამოირჩევა ბატონი არჩილი.

ხშირად, დღეს სიგრძეზე მეტი სიღრმე აქვს, რომელიც შეიძლება წელიწადსაც კი გაუტოლდეს. თქვენი დღეები ასეთი იყო და გისურვებთ, კვლავაც ასეთი სიღრმის, სიხარულითა და სიკეთით სავსე იყოს თქვენი გზა, კვლავაც გეჩუქებინოთ თქვენს გარშემო მყოფი ადამიანებისათვის სიკეთე და სითბო, ასე უშურველად რომ გასცემთ ყოველთვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ქიმიური ტექნოლოგიისა
და მეტალურგიის ფაკულტეტი,
საქართველოს კერამიკოსთა ასოციაცია

◎ შეხვედრა

სტუმრად მესხეთში

ამას წინათ, თბილისის ტურიზმის აკადემიისა და ასოციაცია „მესხეთი 2001“-ის ინიციატივით გაიმართა შეხვედრა ახალციხეში. შეხვედრის მიზანი იყო თბილისის ტურიზმის აკადემიის სამომავლო გეგმების გაცნობა, მესხეთის განათლების სფეროს წარმომადგენლებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის, ასევე ასოციაცია „მესხეთი 2001“-ის 15 წლის იუბილესთან დაკავშირებით ასოციაციის ხელმძღვანელობის ანგარიშის მოსმენა.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის ტურიზმის აკადემიის დამფუძნებელმა, ასოციაცია „მესხეთი 2001“-ისა და მექვაბიშვილთა საგვარეულოს პრეზიდენტმა, პროფესორმა **ამირან მექვაბიშვილმა**. მან ვრცლად ისაუბრა თბილისის ტურიზმის აკადემიის გეგმებთან დაკავშირებით, რაც პირდაპირ კავშირშია მესხეთის კუთხის ახალგაზრდებთან. კერძოდ, აკადემია სწავლის გადასახადში შეღავათს უწესებს მესხეთიდან სასწავლებლად მოსულ ნებისმიერი ასაკის სკოლადამთავრებულს. მან ასევე ისაუბრა ასოციაცია „მესხეთი 2001“-ის განვლილ მუშაობასა და სამომავლო გეგმებზე.

სიტყვებით გამოვიდნენ: **ზურაბ სანადირაძე** – თბილისის ტურიზმის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, რომელმაც ისაუბრა აკადემიაში განხორციელებადი საგანმანათლებლო პროგრამებისა და მიღების წესების შესახებ; **ციური ლაფაჩი** – ახალციხის რაბათის მუზეუმის მენეჯერი; **ხათუნა ხმალაძე**– ახალციხის განათლების რესურსცენტის ხელმძღვანელი; **შორენა ჭიტაძე-ლობჟანიძე** – ადიგენის განათლების რესურსცენტის ხელმძღვანელი; **ირა გიორგაძე** – ვალეს №1 საჯარო სკოლის დირექტორი; **ინგა ჩინჩალაძე** – ახალციხის №7 სკოლის პედაგოგი; **ლიანა ხმალაძე** – ასოციაცია „მესხეთი 2001“-ის ვიცე-პრეზიდენტი, დარგობრივი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, დაისახა სამომავლო მუშაობის სტრატეგიაც. ასეთი ტიპის შეხვედრები კვლავაც გაიმართება.

ზურაბ სანადირაძე,
თბილისის ტურიზმის აკადემიის
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„თანამედროვე მსოფლიოში თავისუფლება შეუთავსებელია მშვიდობიან ცხოვრებასთან“

თბილისის მახლობლად ისტორიაში უდიდესი ქართულ-ამერიკული სამხედრო სწავლება გაიმართა

თბილისის გარეუბანში დასრულდა უპრეცედენტო მასშტაბური ერთობლივი სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორი“, რომელშიც ჩართული იყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სამხედრო ძალები 1200 სამხედრო მოსამსახურის მონაწილეობით ორივე მხრიდან.

2-კვირიანი სწავლება მიმდინარეობდა რუსეთის ყოფილ სამხედრო ბაზაზე ვაზიანში, სულ რაღაც 30 კილომეტრში სამხრეთი ოსეთიდან. სწავლების დამთავრების შემდეგ ამერიკელი სამხედროები დარჩებიან საქართველოში კიდევ რამდენიმე დღე, რათა მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ ცერემონიაში.

ექსპერტების აზრით კვირას დამთავრებული სწავლება უნიკალურია ერთბაშად რამდენიმე პარამეტრის მიხედვით. პირველად საქართველო-ამერიკის სწავლების დროს გამოიყენეს ამერიკული სამხედრო ტექნიკა. კვირას დღის მეორე ნახევარში პრეზიდენტმა მარგველაშვილმა, საქართველოს ახალმა თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა (პირველი ქალია ამ პოსტზე), საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ვახტანგ კაპანაძემ, და გენერალ-ლეიტენანტმა ფრედერიკ ბენ ხოჯესმა (ის არის ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების სახმელეთო ჯარების სარდალი) მიიღეს მონაწილეობა სწავლების დახურვის საზეიმო ცერემონიაში ვაზიანის სამხედრო ბაზაზე თბილისის მახლობლად.

„ჩვენ გვესმის, რომ თანამედროვე მსოფლიოში თავისუფლება შეუთავსებელია მშვიდობიან ცხოვრებასთან“, — განაცხადა ვახტანგ კაპანაძემ, როდესაც მიმართავდა სამხედრო მოსამსახურეებს და გააგრძელა იმავე სულისკვეთებით: **— ჩვენ, ქართველები, ვირჩევთ თავისუფლებას და მზად ვართ, ვიბრძოლოთ მისთვის ჩვენს პარტნიორებთან ერთად“. ბატონმა კაპანაძემ გამოთქვა მწუხარება, რომ მას ასაკი არ აძლევს საშუალებას, „მიიღოს უშუალო მონაწილეობა სწავლებაში ჯარისკაცებთან და უმცროს ოფიცრებთან ერთად“.**

გენერალური შტაბის უფროსმა წარმოთქვა სიტყვა მოედანზე, სადაც დაახლოებით 600 ამერიკელი და ქართველი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც მანევრებში მონაწილეობდნენ, მწყობრად დადგნენ 14 ამერიკულ საბრძოლო ტექნიკაზე, რომელიც სპეციალურად ჩამოიტანეს საქართველოში ბულგარეთიდან მაისის დასაწყისში. სწორედ ამერიკული სამხედრო ტექნიკის ჩამოტანა საქართველოში განასხვავებდა ამჟამინდელ სწავლებას ყველა წინა სწავლებისაგან. **„ამერიკელებმა პირველად ჩამოიტანეს საქართველოში საბრძოლო ტექნიკა“,** — აცნობა ჩვენ გაზეთს დამოუკიდებელი სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მთავარმა რედაქტორმა ირაკლი ალადაშვილმა.

კიდევ ერთ განმასხვავებელ ნიშანს ყველა წინა ქართულ-ამერიკული სამხედრო სწავლებებისაგან ექსპერტი მიიჩნევს იმას, რომ ამჯერად **„ამერიკელები ასწავლიდნენ ქართველ სამხედროებს არა ბლოკპოსტების მოწყობას, არამედ ერთობლივი სამხედრო მოქმედებების წარმოებას ამერიკულ ქვედანაყოფებთან“. „ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული და ამერიკული შენაერთების შეფარდების უზრუნველყოფისათვის ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების ფარგლებში, რომელსაც საქართველო 2013 წელს შეუერთდა“,** — აღნიშნა ბატონმა ალადაშვილმა.

როგორც ქვეყნის თავდაცვის სამინისტროში ჩვენს გაზეთს აცნობეს, სწავლების დროს, რომელიც 11 მაისს დაიწყო, ამერიკელმა და ქართველმა სამხედროებმა მოაწყვეს დესანტირება, ცეცხლსროლა რამდენიმე სახეობის იარაღიდან და თეორიული მომზადება. საქართველოს მხრიდან მანევრებში მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველი ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონის ასეული „ალფა“, აგრეთვე სამხედრო პოლიციის მეოთხე მექანიზებული ბრიგადის 42-ე ბატალიონის პირველი მექანიზებული ასეული და ათეული. ამერიკელთა მხრიდან — მექანიზებული ქვეითი ჯარის ასეული და მედესანტეთა ასეული.

დამთავრებული მეცადინეობა — ეს არის საქართველოსთვის შანსი, აჩვენოს თავისი მიდრეკილება ჩრდილოატლანტიკური სოლიდარობისაკენ.

როდესაც ამერიკელი გენერალი მიიღო ავლაბრის სასახლეში, პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ის ოქროს საწმისის ორდენით დააჯილდოვა, რომელიც საქართველოს უმაღლესი ორდენია და გათვალისწინებულია უცხოელებისათვის. **„ქართველი ხალხის სახელით მადლობას გიხდით იმ წვლილისათვის, რაც თქვენ შეიტანეთ საქართველოსა და ნატოს შორის ურთიერთობათა განმტკიცებაში“,** — განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა უმალვე მას შემდეგ, რაც ამერიკელს ოქროს ორდენი მიაკრა მკერდზე. ამ დროს მარგველაშვილმა შეგვახსენა, რომ ინტეგრაცია ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში, მათ შორის ნატოშიც, — „ქართველი ხალხის არჩევანია“, ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა კი, რომლებმაც თავი გასწირეს ავღანეთში „ისაფის“ ოპერაციის დროს, „დაადასტურეს ერთგულება ამ არჩევანისადმი“.

სამადლობელო სიტყვაში გენერალმა ბენ ხოჯესმა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს პარტნიორობას უწოდა „მტკიცე, როგორც არასდროს“. „მე ვამაყობ ჩვენი ერთობლივი სწავლებით, — აღნიშნა ამერიკელმა გენერალმა და მრავალმნიშვნელოვნად დაუმატა: — ყველას, ვინც სამხედრო ფორმას ატარებს, სურდა, პოლიტიკურად გადაჭრილიყო პრობლემა, მაგრამ ძლიერი არმია მიუხედავად ამისა, მაინც აუცილებელია“.

საქართველოს თავდაცვის ახალმა მინისტრმა, „რესპუბლიკელმა“ თინათინ ხიდაშელმა, რომელიც ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე პროამერიკულ პოლიტიკოსად ითვლება, მოგვიანებით ჟურნალისტებს აცნობა, რომ მოილაპარაკა გენერალ ბენ ხოჯესთან ამერიკელი სამხედროების მონაწილეობის შესახებ ღონისძიებაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით — ესაა საერთო ეროვნული დღესასწაული, რომელიც აღინიშნება ყოველწლიურად 26 მაისს. **„მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ისინი იყვნენ ჩვენთან ერთად ამ დღეს“,** — ვერ მალავდა თავის სიხარულს მინისტრი.

სხვათა შორის, სამხედრო აღლუმი დამოუკიდებლობის დღეს არ იქნება — მმართველმა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ უარი თქვა აღლუმზე ხელისუფლებაში მოსვლის უმალვე. თავად თინათინ ხიდაშელი, ჯერ კიდევ სანამ პარლამენტის დეპუტატი იყო, აღლუმს „საბჭოთა ტოტალიტარული გადმონაშთი უწოდა“. ჩვენი გაზეთის მონაცემებით, დამოუკიდებლობის დღეს პრეზიდენტი მხოლოდ ჩამოივლის სამხედრო მოსამსახურეების კოლონებს — და ერთ-ერთი ასეთი კოლონა იქნება ამერიკელი ჯარისკაცების ასეული, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა სამხედრო სწავლებაში —„ღირსეული პარტნიორობა“.

Коммерсант

ობოლი ბიჭისთვის გაკეთებული საჩუქარი — ეს ყველა ხელისუფალმა უნდა ნახოს!

თურქმა ობოლმა ბიჭუნამ თურქეთის პრეზიდენტს წერილი მისწერა — სთხოვა, მშობელთა კრებაზე მისი მამის რანგში მისულიყო. წერილი მისმა მასწავლებელმა მართლა გაუგზავნა თურქეთის პრეზიდენტ რეჯეპ ტაიპ ერდოღანს, თუმცა მოსწავლეს უთხრა, არ სწყენოდა, თუ პრეზიდენტი ვერ მივიდოდა, მისი დატვირთული გრაფიკისა და უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით.

წარმოიდგინეთ ბიჭუნას, მასწავლებლის და ყველა მშობლის გაოცება, როდესაც პრეზიდენტი მოულოდნელად გამოჩნდა სკოლაში და გამოაცხადა, ბიჭუნას მეურვე ვარ და მისი მამის ნაცვლად დავესწრები კრებასო...

ამ ერთი ბიჭუნას სასწაული არ შეცვლის სამყაროს, მაგრამ სამყარო სამუდამოდ შეიცვლება ამ ბავშვისთვის.

დედამიწის ზურგზე

ჩინეთში სახელმწიფო მოსამსახურეებისთვის მექრთამეების ციხეში ექსკურსები მოაწყვეს

მაისში 70 მაღალი რანგის ჩინოვნიკმა, პარტიულმა ლიდერმა და მათმა მეუღლეებმა მოინახულეს პატიმრები ქალაქ შიანის საქალაქო ციხეში და იქ მთელი დღე გაატარეს აღმზრდელობითი მიზნით. ციხეში 15 მათი ყოფილი კოლეგაა, რომლებიც გაასამართლეს ისეთი მუხლებით, როგორიცაა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და მექრთამეობა. ციხის კედლებს ამშვენებდა მათი ფოტოები ციხის ტანსაცმელში დაკითხვების დროს.

ყაზახეთში საიგაკების მასობრივი დაცემა უკვე 3 ოლქში გავრცელდა, დაიღუპა ათობით ათასი ცხოველი

მარტო აკმოლინსკის ოლქში უკვე აღმოაჩინეს 4 ათასზე მეტი მკვდარი ცხოველი. მეზობელ ოლქებში ლაპარაკია ათობით ათას დაღუპულ ცხოველზე: მარტო კუსტანაის ოლქში დაღუპულ საიგაკთან რიცხვმა შეიძლება 85 ათასს მიაღწიოს.

ინდოეთში 4 დღის განმავლობაში ანომალური სიცხის მსხვერპლი 500 კაცი გახდა

პირველი სამი დღის განმავლობაში 335 კაცი დაიღუპა. კიდევ, როგორც მინიმუმი, 165 გარდაიცვალა მეოთხე დღეს — კვირას 24 მაისს. იტყობინებიან, რომ ზოგიერთ რაიონში თერმომეტრის სვეტმა აიწიეს რეკორდულ ნიშნულამდე — 48 გრადუსამდე.

პალმირის რაიონში 9 დღეში „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა დაახლოებით 70 მშვიდობიანი მცხოვრები დახოცეს

ამ პერიოდის განმავლობაში ტერორისტებმა სიკვდილით დასაჯეს სულ ცოტა 217 კაცი, რომელთაგანაც 150-ზე მეტი — მთავრობის არმიის ჯარისკაცია. სირიის ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგის ცენტრის მონაცემებით, მსხვერპლთა შორის 12 ქალი და 14 ბავშვია. ადრე სირიის სახელმწიფო ტელევიზია იტყობინებოდა, რომ „ისლამურმა სახელმწიფომ“ პალმირაში სიკვდილით დასაჯა დაახლოებით 400 კაცი.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (SLRP III)

პროექტის №: P144048

დავალების სახელწოდება: შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის ფარგლებში ახმეტა-თელავი-ბაკურციხის შიდასახელმწიფოებრივი გზის მონაკვეთებზე ბაკურციხე-გურჯაანის ახალი შემოვლითი გზის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა (პროექტირება-მშენებლობის კონტრაქტის მეთოდოლოგიის გამოყენებით) **კონტრაქტი/RFP №:** SLRP III/CS/QCBS-05

საიდენტიფიკაციო №: SLRP III PP, პუნქტი №31

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტისათვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **"შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის ფარგლებში ახმეტა-თელავი-ბაკურციხის შიდასახელმწიფოებრივი გზის მონაკვეთებზე ბაკურციხე-გურჯაანის ახალი შემოვლითი გზის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა (პროექტირება-მშენებლობის კონტრაქტის მეთოდოლოგიის გამოყენებით)".**

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. შერჩევის საკვალიფიკაციო კრიტერიუმებია:

- ზოგადი გამოცდილება;
- მსგავსი გამოცდილება ბოლო 7 წლის განმავლობაში (მაგ. 2008 წლის იანვრიდან) **გზების სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა პროექტირება-მშენებლობის კონტრაქტის მეთოდოლოგიით.**

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუცქიისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთაინდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპებში" მოცემული კვალიფიკაციისა და ღირებულების მიხედვით შერჩევის მეთოდის თანახმად.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 09:00-დან 17:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არაუგვიანეს **2015 წლის 15 ივნისის, 17:00 საათისა.**

საკონტაქტო პირი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტმობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995-322-37-05-08 დამ. 218
ფაქსი: +995-322-31-30-34
ელ. ფოსტა: ino@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)

Project No. P144048

Assignment Title: Supervision of Construction (Under Design-and-Build Contracting Methodology) of New Gurjaani-Bakurtsikhe Bypass section of Akhmeta-Telavi-Bakurtsikhe Secondary Road under the Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)

Contract/RFP No: SLRPIII/CS/QCBS-05
Reference No. SLRPIII PP, Item No.31

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Third Secondary and Local Roads Project and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: **"Supervision of Construction (under Design-and-Build Contracting Methodology) of New Gurjaani-Bakurtsikhe Bypass section of Akhmeta-Telavi-Bakurtsikhe Secondary road under the Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)".**

Interested Consultants should provide information demonstrating that they have the required qualifications and relevant experience to perform the Services. The shortlisting criteria are:

- General experience;
- Similar experience within the last 7 years (i.e. assignments completed since January 2008) in the Supervision of Construction of Roads under the Design-and-Build Contracting Methodology.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may associate with other firms in the form of a joint venture or a sub-consultancy to enhance their qualifications. Please note that a form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Information on project related experience and assignments conducted should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on w on the following link:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

Only the assignments submitted in the Form provided above will be taken into consideration.

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A Consultant will be selected in accordance with the Quality and Cost-based Selection method set out in the Consultant's Guidelines.

Further information can be obtained at the address below during office hours from 09:00 to 17:00.

Expressions of interest must be delivered in a written form to the address below (in person, or by mail, or by fax, or by e-mail) by **June 15, 2015, 17:00 hours**.

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Unit of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08 ext. 218
Fax: +995-322-31-30-34
Email: ino@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

ინფორმაცია

2015 წლის 24 ივლისს 14:00 საათზე, დაბა ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (ტბელ აბუსერიძის ქ. №1) გაიმართება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) – ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-გოდერძის 30 კილომეტრიანი მონაკვეთის (კმ80-კმ110) მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე:** www.georoad.ge
- **დაბა ხულოს გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია);**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ მითითებულ საკონტაქტო პირებს; რუსუდან ღოლიჯაშვილს, ტელ: 599214048 ელ. ფოსტა: rusudani@gmail.com და მედგარ ჭელიძეს 599162221

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

2015 წლის 23 ივლისს 13:00 საათზე, ქ. ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (თამარ მეფის ქ. №5) გაიმართება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) – ახალციხის საავტომობილო გზის გოდერძი-ზარზმის 17-კილომეტრიანი მონაკვეთის (კმ110-კმ127) მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე:** www.georoad.ge
- **ქ. ადიგენის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია);**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ მითითებულ საკონტაქტო პირებს: ლუიზა ბუბაშვილი, ტელ: 595219141 ელ.ფოსტა likabubashvili@yahoo.com და მედგარ ჭელიძეს 599162221

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

◎ წინ, საქართველო!

უმცროსი „ბორჯღალოსნები“ – ელიტაში!

ლისაბონში (პორტუგალია) დამთავრდა 20-წლამდელ მორაგბეთა მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფი, რომელშიც წარმატებით იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა (ირაკლი სვანიძე, ანზორ სიჭინავა, ბადრი ლიპარტელიანი, სანდრო ილურიძე, გიორგი კვესელაძე, რეზო ჯინჭველაშვილი, ვასილ ლობჟანიძე. ნიკა ნეფარიძე, ბადრი ალხაზაშვილი, გიორგი მელიქიძე, ოთარ გიორგაძე, მიხეილ ბაბუნაშვილი, თორნიკე ბუბუტეიშვილი, დავით პაპავაძე, ბექა გორგაძე, გიორგი თედორაძე, ბექა კაკაბაძე,

თორნიკე ზოიძე, გიორგი ცუცქირიძე, რატი შანიძე, თემურ თუთბერიძე, გიორგი ბაბუნაშვილი), რომელმაც უძლიერეს მეტოქეებთან პაექრობაში ელიტის საგზური დაიმსახურა. ახალგაზრდა „ბორჯღალოსნებს“ აქამდე ასეთი წარმატება არასდროს მოუპოვებიათ. საგულისხმოა, რომ მსოფლიოს საუკეთესო გუნდებთან ასპარეზობა ზედიზედ ორი წლის განმავლობაში გვაქვს გარანტირებული, რადგან 2017 წელს რჩეულთა ახალგაზრდულ ნაკრებებს საქართველო უმასპინძლებს.

კანადელებთან ფინალური მატჩის პირველ ნახევარში ორთაბრძოლის სადავეები ქართველებს ეპყრათ ხელთ, ამიტომაც ისინი ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე 24:0-ს იგებდნენ. დროის ამ მცირე მონაკვეთში ოკეანისგაღმელებმა ერთი ლელოთი ანგარიშში სხვაობის შემცირება შეძლეს.

შესვენების შემდეგ მოედანზე უფრო თანაბარი დაპირისპირება იყო, მაგრამ საქართველოს ნაკრების წევრებმა მატჩი სასურველ დასასრულამდე მიიყვანეს – 49:24 გაიმარჯვეს და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმაღლეს დივიზიონში თამაშის უფლება გაინაღდეს. მესამე ადგილისთვის პაექრობაში ურუგვაიმ ტონგას აჯობა – 44:43. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: 1. საქართველო, 2. კანადა, 3. ურუგვაი, 4. ტონგა, 5. ფიჯი, 6. ნამიბია, 7. პორტუგალია, 8. ჰონკონგი.

ლეჟსო ციწცაძე

სურათზე: საქართველო-კანადის მატჩის ეპიზოდი; ახალგაზრდა „ბორჯღალოსნები“ გამარჯვებას ზეიმობენ.

◎ ლევან მოსეშვილი-75

მოხდენილი გარღვევების დიდოსტატი

სახელოვან ქართველ კალათბურთელს, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორსა და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელ ლევან მოსეშვილს 75 წელი შეუსრულდა. იუბილესთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის 1968 წლის ჩემპიონს, სამგზის ვერცხლისა და ერთხელ ბრინჯაოს მედალოსანს, 1969 წლის საბჭოთა კავშირის თასის მფლობელს, რომელიც 1959-1972 წლებში თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის ღირსებას იცავდა (სამი ათეული წელიწადი ამ გუნდის მწვრთნელი იყო) საქართველოს ერთიანულ ოლიმპიურ კომიტეტში საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა ვეტერანი კალათბურთელი ოლიმპიური კომიტეტის მედლით, შესაბამისი დიპლომითა და ფულადი პრემიით დააჯილდოვა. ასევე, მას გადაეცა ჟურნალისტ პაატა ნაცვლიშვილის ხუთტომეული „ხუთი რგოლი საქართველოსთვის“. სპორტის დამსახურებულ ოსტატსა და საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს მიესალმნენ სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი ნინო სალუქვაძე, ვეტერანი კალათბურთელები – ანტონ კაზანჯიანი, ვალერი ლომაძე და გივი ბიჭიაშვილი.



კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა კახა შენგელიამ იუბილარს გადასცა ნაკრების სიმბოლური მაისურა წარწერით „მოსეშვილი – 75“ და ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის ორი საგზური. მოხდენილი გარღვევების დიდოსტატმა დამსწრეთ თბილი შეხვედრისთვის მადლობა გადაუხადა და საკალათბურთო კარიერიდან რამდენიმე საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა: – ბავშვობისას დინამოელთა გვერდით ვვარჯიშობდი და ამ სახელოვან გუნდში მოხვედრაზე ვოცნებობდი. მის შემადგენლობაში მაშინ ქართული კალათბურთის კორიფეები – ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, გურამ მინაშვილი, ვაჟა ჟღენტი, ვაჟა გვანცელაძე, ალექსანდრე კილაძე, ლევან ინწკირველი, ჯუმბერ ნიჟარაძე, გურამ და გივი აბაშიძეები გამოდიოდნენ. სკოლის დამთავრების შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტში ვაპირებდი ჩაბარებას, ამიტომ „დინამოს“ სტაჟიან ექიმს – ალექსანდრე კილაძეს ვკითხე რჩევა. ერთდროულად კალათბურთელობა და ექიმობა გაგიჭირდება, უმჯობესია, სხვა სპეციალობა აირჩიოო. მეც დავუჯერე – საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავაბარე. იქაურ კალათბურთელთა გუნდში მოვხვდი. მერე გიორგი ავალიშვილმა ჩემს საოცნებო თბილისის „დინამოში“ მიმიწვია და 1972 წლის ჩათვლით მის შემადგენლობაში ვთამაშობდი. არ დამავიწყდება 1959 წლის საკავშირო ხალხთა სპარტაკიადაზე ლეგენდარული მატჩი, სადაც სამმა ქართველმა უთანასწორო ბრძოლაში დაამარცხა საათის მექანიზმივით აწყობილი ლატვიელთა გუნდი. თუმცა იყო უფრო დიდი გამარჯვებაც ჟენევაში 1962 წელს, როცა ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში მადრიდის „რეალს“ ვაჯობეთ და მთავარი პრიზი მოვიპოვეთ. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უილიამ ჯონსმა მატჩის შემდეგ „დინამოს“ ქარიშხალი, ტექნიკა და სათამაშო დისციპლინა უწოდა.

–1963-1964 წლების სეზონში მართლაც შესანიშნავ სპორტულ კონდიციებში ვიყავი და საოლიმპიადე გუნდშიც აღმოვჩნდი, რომელსაც ალექსანდრ გომელსკი და იური ოზეროვი ხელმძღვანელობდნენ. მაშინ ნაკრების ღირსებას იცავდნენ იაკ ლიპსო, ალექსანდრ ტრავინი, გენადი ვოლნოვი, ვალდის მუიჟნიეკსი, იანის კრუმინში, ნიკოლაი ბაგლეი, არმენაკ ალაჩაჩიანი, ვიაჩესლავ ხრინინი, იური კორნეევი, იურის კალნინში და ალექსანდრ პეტროვი. ტოკიოში ერთ საღამოს ვარჯიშიდან დაბრუნებულებს საცხოვრებელი კორპუსის წინ ჟურნალისტები დაგვხვდნენ. გამოჩენისთანავე გარს შემოგვეხვივნენ. ნიკიტა სერგეევიჩ ხრუშჩოვზე რას იტყვითო, გვკითხეს. „იგი ყოფილი კალათბურთელი და საბჭოთა ხალხის დიდი ბელადიაო“, – სხვებს პასუხი ტრავინმა დაასწრო. „მაშინ ცეკა-ს პირველი მდივნობიდან რატომ მოხსნეს?“ – იკითხა ამერიკელმა ჟურნალისტმა. პირი დავაღეთ – სტუმრებისგან შევიტყვეთ „ბელადის“ განთავისუფლებისა და ხელმძღვანელ პოსტებზე ბრეჟნევისა და კოსიგინის დანიშვნის ამბავი. იმ ტურნირზე ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ ფინალი ამერიკელებთან მაინც დავთმეთ და მეორე ადგილს დავჯერდით. ტოკიოში ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის იყო, რომ საბჭოთა დელეგაციის წევრი ქართველი სპორტსმენებიდან ფრენბურთელი ვაჟა კაჭარავა და მოფარიკავე ნუგზარ ასათიანი ჩემპიონები გახდნენ, სამს ოლიმპიური ვერცხლი, ხუთს კი ბრინჯაო ერგო...

მოსაგონარს რა დაულევს სახელოვან ქართველ კალათბურთელს, რომლის ეფექტური გარღვევები გულშემატკივრებს აღაფრთოვანებდა.

ბატონო ლევან, იუბილეს გილოცავთ და ჯანმრთელობას გისურვებთ!

ვაჟა დანელია

სურათებზე: ელგუჯა ბერიშვილი ლევან მოსეშვილს აჯილდოებს; მოხდენილი გარღვევების დიდოსტატის მორიგი იერიში.

◎ კრივი

ლვოვიდან – სამი მედლით

საქართველოს შვიდი წარმომადგენელი (მთავარი მწვრთნელი კუკური შავგულიძე, მწვრთნელები – ნიკა იზორია და ლაშა დუნდუა) მონაწილეობდა 1999-2000 წლებში დაბადებულ მოკრივეთა ევროპის პირველობაში, რომელსაც ლვოვმა უმასპინძლა. 22 ქვეყნის სპორტსმენებთან პაექრობაში ჩვენებმა სამი მედალი მოიპოვეს.. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა თბილისელი სახილ ალახვერდოვი (46 კგ), ხოლო ფოთელი ბადრი ხუციშვილი (63) და ახალქალაქელი არტიომ იორდანიანი (+80) მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

თამაზ პატარაია

სურათზე: მარცხნიდან – ნიკა იზორია, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი დავით წიკლაური, სახილ ალახვერდიევი, გიორგი კაჭარავა, გონერ მაშავა და ბადრი ხუციშვილი

◎ ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონი ევროპაზეც ლიდერობს

ჩაქვში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა მე-16 ინდივიდუალური ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც 19 ქვეყნის 98 წარმომადგენელი მონაწილეობს. მათ შორის 28 საქართველოდანაა. ტურნირზე ექვსი ტურის შემდეგ 5.5 ქულით ბათუმელი საქართველოს ჩემპიონი ნინო ბაციაშვილი დაწინაურდა. მე-6 ტურში მან რუმინელ მიხაელა სანდუს სძლია, რომელიც ხუთი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილს უდანაკარგოდ ედგა სათავეში. სანდუ 5 ქულით მეორე ადგილზეა. ათმა მოჭადრაკემ 4.5-4.5 ქულას მოუყარა თავი. მათ შორის არიან მერი არაბიძე (მეექვსე ტურში ნინო ხურციძეს სძლია) და სალომე მელია, რომელმაც დარია ჩაროჩკინას (რუსეთი) აჯობა. შეჯიბრებას მამის მძიმე ავადმყოფობის გამო ასპარეზობის რეიტინგფავორიტი ნანა ძაგნიძე გამოეთიშა.

ჩემპიონატზე შვეიცარიული სისტემით 11 ტური გათამაშდება.

გივი გაგუა

◎ ინტერნეტიდან

ლიზ სოლარის ამბიციები

ერთ დროს მადრიდის „რეალში“ მოფაფხურე არგენტინელი ფეხბურთელი სანტიაგო სოლარი ხომ გახსოვთ? თუ მოინდომებთ, აუცილებლად გაიხსენებთ – იმ სანტიაგოს ერთი და ჰყავს, სახელად ლიზ სოლარი, რომელიც უთამამესი ფოტომოდელი გახლავთ – რა გინდა, მან რომ არ გამოამზეურო.

აგერ უკვე ხუთ წელზე მეტია, ლიზ სოლარი ევროპაში მუშაობს და მისი მოღვაწეობა არა მხოლოდ ფოტოკამერების წინ ირიბად და შვეულად წამოპლაკვით შემოიფარგლება. იგი ასევე მონაწილეობს საპოდიუმო ჩვენებებში და გენაცვალე გავლა- გამოვლაშიო – ათქმევინებს მტერსაც და მოყვარესაც.

თავისი ბედოვლათი ძმისგან განსხვავებით, ლიზ სოლარის პოპულარობა გამუდმებით იზრდება და არავის გაგიკვირდეთ, ერთხელ თუ იმასაც იტყვის, არა მხოლოდ არგენტინაში, მთელს ლათინურ ამერიკაში ჩემი დარი მკერდ-დუნდულ-ტან-ფეხი მეორეს არა აქვსო. ვითომ რატომ არ იტყვის?..

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ძიუდო

სამივე სინჯის ჯილდო და გუნდური მეორე



მაროკოში გამართულ ძიუდოისტთა მსოფლიო მასტერსზე ქართველმა ფალავნებმა სამი მედალი დაიმსახურეს: პირველ ადგილზე ბექა ღვინიაშვილი (90) გავიდა. ვერცხლი და ბრინჯაო, შესაბამისად, ნუგზარ ტატალაშვილსა (73) და ავთანდილ ჭრიკიშვილს (81) ერგოთ. ბრინჯაოსთვის კიდევ ორმა ქართველმა იჭიდავა, მაგრამ ამირან პაპინაშვილი (60) და ლევან მატიაშვილი (+100) მეხუთე ადგილებს დაყაბულდნენ. საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენებს მეხუთე ადგილი ხვდათ, ცალკე ვაჟებში კი მხოლოდ იაპონიას ჩამორჩნენ.

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვარლამ ლიპარტელიანი ფრანგ ალექსანდრ იდირთან ჭიდაობისას მეტოქის ფეხში ხელით შესვლისთვის შეჯიბრებიდან მოხსნეს. სამაგიეროდ, ბექა ღვინიაშვილმა გაგვახარა: ქვეჯგუფში ბერძენთა ქართველი ოლიმპიური, მსოფლიოს სამგზის და ევროპის ორგზის ჩემპიონი ილიას ილიადისი (ჯარჯი ზვიადაური) დაამარცხა, მერე სერბ ალექსანდრ კუკუოლჯისა და კუბელ მსოფლიოს ჩემპიონ ეშლი გონსალესს აჯობა, ფინალში იაპონელი იუია იოშიდა დაჯაბნა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

73 კილოში ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი სტარტზევე აზერბაიჯანელ ვუგარ ორუჯოვთან დამარცხდა. ტატალაშვილმა ზედიზედ სძლია არაბთა გაერთიანებული საამიროების მოლდოველ მსოფლიოს პრიზიორ ვიქტორ სკვორცოვს, ებრაელ საგი მუკის, იაპონელ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონსა და ოლიმპიადის ფინალისტ რიკი ნაგაიას, გადამწყვეტი პაექრობა კი რუს დენის იარცევთან 57 წამში დათმო.

81 კილოში ჭრიკიშვილმა ორი შეხვედრა გერმანელ სვენ მარეშსა და რუსთა ორგზის ევროპის ჩემპიონ სირაზუდინ მაგომედოვთან გაფრთხილებებით მოიგო, ნახევარფინალში ევროპისა და მსოფლიოს ექსჩემპიონ ივან ნიფონტოვთან (რუსეთი) დამარცხდა, მესამე ადგილისთვის პაექრობაში კი კანადელი მსოფლიოს ფინალისტი და ოლიმპიური პრიზიორი ანტუან ვალუა-ფორტიე დაჯაბნა.

ლაშა დიდია

◎ ხელგურთი

ორმა ქართველმა ევროპული თასი მოიგო

ქართველი ხელბურთელების შოთა თევზაძისა და ვლადიმერ რუსიას „ოდორჰეიმ“ ევროპული ჯილდო ჩელენჯ კაპი მოიგო. რუმინულმა კლუბმა საპასუხო ფინალურ მატჩში 32:25 დაამარცხა პორტუგალიის „ბრაგა“, მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზი კი რუსიას გადაეცა.

„ბრაგამ“ ერთი კვირის წინათ შინ 32:28 მოიგო და ერთხანს მეტოქის მოედანზეც ლიდერობდა. „ოდორჰეის“ პირველი ოთხი გოლიდან 2 რუსიამ შეაგდო და ერთიც შვიდმეტრიანი მოიპოვა. ამის შემდეგ ქართველი შუამარბი მეტოქემ პერსონალურად აიყვანა და რუსიამ პირველი ტაიმი და მთელი მატჩიც 4 გოლით დაასრულა, მაგრამ ლიდერის მეურვეობამ მის თანაგუნდელებს გაუხსნა ხელ-ფეხი.

„ოდორჰეის“ კარში თამაში ლევენტე საბომ დაიწყო. შოთა თევზაძე მაშინ გამოჩნდა მოედანზე, როდესაც მასპინძლები 7:9 აგებდნენ. ქართველმა მეკარემ რამდენიმე ბურთი მოიგერია და აქედან დაიწყო თამაშის შემობრუნება. „ოდორჰეიმ“ ტაიმი 18:15 მოიგო და მეორის დასაწყისშივე სასურველი სხვაობით, 6 ბურთითაც გავიდა წინ.. რუსიაზე მეტი გაიტანეს ანდრეი მიჰალჩამ და გორან კუზმანოვსკიმ, მაგრამ თამაშის შემდეგ საუკეთესო მოთამაშის პრიზი ქართველმა შუამარბმა მიიღო — რუსია 54 გოლით „ოდორჰეის“ საუკეთესო ბომბარდირი გახდა ჩელენჯ კაპზე, სადაც მისმა გუნდმა 5 მეტოქე დაამარცხა — ინგლისის „კემბრიჯი“, ლუქსემბურგის „დიფერდანჟი“, უკრაინის „ზაპოროჟიე“ და პორტუგალიის ორი კლუბი — „ბენფიკა“ და „ბრაგა“.

ჩელენჯ კაპი ჩემპიონთა ლიგისა და EHF თასის შემდეგ მესამე სახელბურთო ევროტურნირია. EHF თასი წინა კვირაში გერმანიის „ფუხსე ბერლინმა“ მოიგო, ხოლო ჩემპიონთა ლიგის ოთხთა ფინალი 30-31 მაისს გაიმართება კიოლნში — ესპანეთის „ბარსელონას“, გერმანიის „კილის“, უნგრეთის „ვესპრემისა“ და პოლონეთის „კელცეს“ მონაწილეობით.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ გამოფენა

დიდი წარსულის სიბლი და მშვენება

ბოლო თვეების მანძილზე საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმი თბილისელებსა და დედაქალაქის მომრავალებულ სტუმრებს დიდებულ სიურპრიზებს უწყობს. ცოტა ხნის წინათ კულტურის სამინისტროს ხელოვნების სასახლე დიდი ნიკო ფიროსმანის ნამუშევრებს მასპინძლობდა, რომლებიც მირზაანის მუზეუმშია დაცული, ამ ჯერზე კი მისი საგამოფენო სივრცის ორი დარბაზი სამეგრელოს მთავართა, დადიანების სასახლიდან გადმოტანილი უნიკალური საგანძურის გამოფენას აქვს დათმობილი. ამდენად, მნახველს ფიროსმანის შედევრების სანახავად მირზაანში წასულა აღარ სჭირდებოდა, ახლა კი ზუგდიდში გამგზავრების საჭიროება არ არის დადიანების ოჯახის საგანძურის ერთი ნაწილის სანახავად...

ზუგდიდში დადიანების (დედოფლის) სასახლის მუზეუმის გადაკეთების რამდენიმე მცდელობა მე-20 საუკუნის 20-იან წლებს უკავშირდება, განსაკუთრებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ — 1921 წლის მაისში სასახლის ტერიტორიაზე სამეგრელოს მუზეუმი გაიხსნა. 1980 წელს მუზეუმში სარემონტო სამუშაოები ჩატარდა, რა დროსაც გაირკვა, რომ თავდაპირველად კედლები მე-19 საუკუნის ევროპულ სტილში ყოფილა მოხატული, თუმცა კი, ინტერიერის პირვანდელი იერსახის აღდგენა სრულად ვეღარ მოხერხდა და ამჯერად იგი მხოლოდ ჩანახატებითა და ფოტოებითაა ცნობილი.

თავად მუზეუმის კოლექცია 45 ათასზე მეტ ექსპონატს მოიცავს, რომელთაგან საკმაოდ დიდი ოდენობა მას უკვე ქვეყნის გასაბჭოების შემდგომ პერიოდში შეემატა. ბევრი მათგანი უძველესი დროის ხელოვნების ნიმუშია, ზოგიც ჭეშმარიტად ისტორიული რელიკვიაა, რომელთა შორის უდავოდ გამორჩეულია ნაპოლეონ I-ის სიკვდილის შემდგომი ბრინჯაოს ნიღაბი და კვართი, რომელიც, თქმულებით, ღვთისმშობელს ეკუთვნოდა. ნაპოლეონ I-ის სიკვდილის შემდგომი ნიღაბი — 1838 წელს იგი პარიზში ანატომიის პროფესორმა ფ. ანტომარკმა ჩამოასხმევინა, და რომელიც ამჟამად თბილისის ექსპოზიციაშია განთავსებული — სამეგრელოს მთავართა ოჯახში სალომე დადიანი-მიურატის წყალობით მოხვდა, რომელიც იმპერატორის დისშვილის აშილ მიურატის მეუღლე გახლდათ. წმინდა მარიამის კვართი კი მუდმივად დადიანების სასახლის ეგრეთ წოდებულ „ქალწულის კოშკში ინახება“ და ყოველწლიურად აგვისტოში გამოაბრძანებენ ხოლმე.

დადიანების სასახლის მუზეუმის კოლექცია რამდენიმე მნიშვნელოვანი, ერთმანეთისგან დანიშნულებით განსხვავებულ ექსპონატთა ნაწილისგან შედგება. თითოეული მათგანის რამდენიმე საგანი ამჟამად ხელოვნების სასახლეშია გამოფენილი. მათ შორის, უწინარესად, აღსანიშნავია, ნაპოლეონ I-ის (1769-1821 წ.წ.) სიკვდილის შემდგომი ბრინჯაოს ნიღაბი, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა და სალომე დადიანის სამაგიდო მოწყობილობები, დადიანების გვარის წარმომადგენელთა ფოტოსურათები და მხატვრული პორტრეტები, მათ შორის, ემილ ფრანსუა დესენის „ნინო ჭავჭავაძის“ და „ეკატერინე ჭავჭავაძის“ პორტრეტები „ანდრია დადიანი ძიძასთან“, მხატვრული ტილო, ფ. ფრაშის „ალექსანდრე III-ის მოგზაურობა კავკასიაში“ (სხვათა შორის, ნამუშევარი სარესტავრაციოდაა ჩამოტანილი), პ. ბლანშარის „კაზაკები“, „დერბენტი“, „ბაქო“, ძვირფასი ლარნაკი დავით დადიანის დამღით, საათი სალომე მიურატის კოლექციიდან, ოქროს ალბომი — ალექსანდრე III-ის საჩუქარი ნიკო დადიანს (ოქრო, ვერცხლი, სევადი), წმინდა ოქროპირის თარგმანი და განმარტება სახარებაზე, ანდრია დადიანის საჭადრაკო პარტიების წიგნი, ნიკო დადიანის სასახლისეული ფაიფურის ჭურჭელი, ფრაჟეს შანდლები, გრავიურები, საომარი იარაღი დავით დადიანის კოლექციიდან — დამბაჩები, თოფები, ხმლები, სატევრები, ნაპოლეონ მიურატის ფრანგული კავალერიის მუზარადი, ბრინჯაოს ხანის ცაიშის განძის უნიკალური ექსპონატები — ადამიანთა და ცხოველთა მცირე ქანდაკებები, სატევრები, მრავალი სხვა.

ერთი სიტყვით, დადიანების სასახლის მუზეუმის ნაწილის თბილისის ხელოვნების სასახლეში ექსპოზიციის ექსპონატთა ჩამოთვლას, აზრი არა აქვს, მსურველმა თავისი თვალით უნდა იხილოს იმ დიდებული წარსულის სიდიადე და მშვენიერება, მით უმეტეს, რომ საამისოდ საკმარისი დროა — გარეოფენა სამ თვეს გასტანს, თუმცა კი, საფრანგეთის იმპერატორის სიკვდილის შემდგომი ნიღაბი ექსპოზიციაში მხოლოდ ერთ თვეს დარჩება.

ოთარ ტურაბელიძე
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ ინფორმაცია

ხაშურის რაიონიდან ორი ადამიანი გაიტაცეს

ორი ადამიანია გატაცებული ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრედ მდებარე სოფლებიდან. ამჯერად გატაცებები ხაშურის რაიონის სოფლებში — ბროლოსანსა და წეღვერში მოხდა.

გატაცებული არიან გელა წოწოლაშვილი და შალვა მულაძე. ორივე მათგანი ცხინვალის მილიციის წინასწარი პატიმრობის იზოლატორშია გადაყვანილი.

შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის შალვა ენუქიძის ინფორმაციით, ამ დროისთვის ცხინვალში 13 დაკავებული იმყოფება. შალვა ენუქიძის თქმითვე, ბოლო პერიოდში მსგავსი ფაქტები გახშირდა.

წოწოლაშვილისა და მულაძის ოჯახებს ჯერ არავინ დაკავშირებია.

ინტერპრესი

რეკლამა
293-37-87;
568 82-09-84.
მაჩაბლის ქ. №7.

განცხადება

2015 წლის 15 ივნისს დღის 11 საათზე დანიშნულია სააქციო საზოგადოება „ყვარლის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. 2014 წლის წლიური ფინანსური შედეგების განხილვა;
2. სხვადასხვა საკითხები.

სს „ყვარლის“ ადმინისტრაცია

მისამართი: ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქუჩა №72.

◎ აღმოჩენა იორდანიის მღვიმეში

ლითონის წიგნების აღმოჩენამ, შეიძლება, ბიბლიური ისტორია შეცვალოს

რელიგიისა და ისტორიის მკვლევართათვის ეს ფასდაუდებელი აღმოჩენაა. 70 ციცქნა წიგნისგან შემდგარ უძველეს კოლექციას, რომელთა ტყვიის გვერდები აკინძულია მავთულით, შეუძლია, ქრისტიანობის ადრეული პერიოდის ზოგიერთ საიდუმლოებას მოჰფინოს ნათელი. მათ ავთენტურობაზე აკადემიკოსთა აზრი გაყოფილია, თუმცა, ამბობენ, რომ, თუ ორიგინალობა დადასტურდა, მაშინ მათ შეუძლიათ ისეთივე მნიშვნელობა შეიძინონ, როგორც 1947 წელს მკვდარი ზღვის გრაგნილების აღმოჩენამ.

საკრედიტო ბარათისხელა გვერდებზე გამოსახულია სხვადასხვა ნახატები, სიმბოლოები და სიტყვები, რომელიც შეეხება მესიას და შესაძლოა, ჯვარცმასა და აღდგომას.

ინტრიგას მატებს ის ფაქტიც, რომ წიგნების უმეტესობა დაბეჭდილია, რის საფუძველზეც მკვლევარები ასკვნიან, რომ წიგნები წარმოადგენს იოანეს გამოცხადებაში ნახსენები დაკარგული კოდექსების ნაწილებს. წიგნები აღმოჩნდა რამდენიმე წლის წინათ იორდანიის შორეული რეგიონის გამოქვაბულში, რომელიც ქრისტიანთა თავშესაფარს წარმოადგენდა ახ.წ. 70 წელს იერუსალიმის დაცემის შემდეგ. ამავე პერიოდის მნიშვნელოვანი დოკუმენტები აქ უწინაც აღმოჩენილა.

თავდაპირველი მეტალურგიული ტესტების საფუძველზე დადგინდა, რომ ზოგიერთი წიგნის დათარიღება შეიძლება ახ.წ. პირველი საუკუნით. ეს შეფასება გამომდინარეობს წიგნის კოროზიის ფორმიდან, რომლის ხელოვნურად მიღებაც, ექსპერტების თანახმად, შეუძლებელია.

თუ ეს დათარიღება დადასტურდა, მაშინ წიგნები შევლენ ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ დოკუმენტებს შორის და ქრონოლოგიურად გადაუსწრებენ თვით პავლე მოციქულის შრომებს.

იმის ალბათობა, რომ მათში შეიძლება დაცული იყოს იესოს ცხოვრების ბოლო წლების ამბები, აღაფრთოვანებთ მკვლევარებს — თუმცა, მათი ენთუზიაზმი განელებულია იმ ფაქტითაც, რომ წინათ ექსპერტები დახვეწილი ნაყალბევის წყალობით სასტიკად მოტყუვდნენ.

დევიდ ელკინგტონი, ძველი რელიგიის ისტორიისა და არქეოლოგიის ბრიტანელი მკვლევარი, იმ მცირერიცხოვან მეცნიერებში შედის, ვისაც შეუმოწმებია წიგნები და იგი აცხადებს, რომ ეს წიგნები „ქრისტიანული ისტორიის კვლევისთვის შეიძლება გახდეს უმთავრესი აღმოჩენა“.

„ძალიან ამაღელვებელია იმის გაფიქრება, რომ ჩვენ ხელთ გვიპყრია ის ნივთები, რაც ქრისტიანული ეკლესიის ადრეულ წმინდანებს“, აღნიშნა მან.

თუმცა, არა მარტო ამ წიგნის გვერდებია საინტერესო, არამედ მათი აღმოჩენის ზუსტი ადგილიც. იგი იპოვეს იორდანელმა ბედუინებმა, რომელთაც რაღაც მაქცინაციებით მოახერხეს და ისრაელის საზღვარზე გადმოატარეს.

ამის მიუხედავად, იორდანიის მთავრობა აქტიურად მუშაობს არტეფაქტის დაბრუნებისა და უსაფრთხოდ დაცვის საკითხებზე. ფილიპ დევისის, შეფილდის უნივერსიტეტის ბიბლიური კვლევების ემერიტუს პროფესორის, სიტყვებით, უძლიერესი მტკიცებულებაა ამ წიგნების გვერდებზე გამოსახული იერუსალიმის რუკა.

„როგორც კი დავინახე, დავმუნჯდი გაოცებისგან“, თქვა მან. „ეს იმდენად ქრისტიანული გამოსახულებაა, რომ მეტი არც შეიძლება. უკანა პლანზე გამოსახულია ჯვარი, სადაც ქრისტეს სავარაუდო სამარხია და პატარა შენობა დგას.“

„სხვა გვერდებზე გამოსახულია ქალაქის კედლები და უმეტესწილად იერუსალიმს შეეხება. ჯვარცმა ქალაქის გარეთ მოხდა.“

ბრიტანული ჯგუფი, რომელიც უძღვება ამ არტეფაქტებზე მუშაობას, შიშობს, რომ ამჟამინდელი ებრაელი „მეპატრონე“ შეეცდება გაყიდოს რომელიმე წიგნი შავ ბაზარზე, ან უარესი — გაანადგუროს იგი. მაგრამ ეს უკანასკნელი უარყოფს ამ ბრალდებას და აცხადებს, რომ ეს ნივთები მის ოჯახში ინახებოდა 100 წლის მანძილზე.

დოქტორ მარგარეტ ბარკერის, ძველი აღთქმის კვლევების საზოგადოების ყოფილი პრეზიდენტის სიტყვებით: „გამოცხადების წიგნი მოგვითხრობს დალუქულ წიგნზე, რომელიც მხოლოდ მესიამ გახსნა“ .„ამ პერიოდის სხვა ტექსტებიც გვიამბობენ დალუქულ წიგნებზე და საიდუმლო ტრადიციაზე, რომელიც ქრისტესგან უახლოეს მოწაფეებს გადაეცათ.“

ელკინგტონი, რომელიც სხვებთან ერთად ცდილობს წიგნი დაუბრუნდეს იორდანიას, აცხადებს: სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია ამ კოლექციის ხელუხლებლად შენარჩუნება და მისი დაცვა საუკეთესო პირობებში, რომელიც შედის არამხოლოდ მისი მფლობელის ინტერესებში, არამედ საერთაშორისო საზოგადოების ინტერესებშიც.

dailymail.co.uk

მილოცვა

ვიტალი ხაზარაძე ოჯახით დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ულოცავს ღირსეულ მამულიშვილს, ქუთაისის საამაყო შვილს, ბატონ **გენო გოგლიჩიძეს** დაბადებიდან 65 წლისთავს და უსურვებს ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.



◎ ჩვენი კარაბადინი

ცხოვრება გახდა უკეთესი და ხალისიანი

ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მოზარდები უკვე უფრო უკეთესად ცხოვრობენ, ვიდრე მათი თანატოლები 10 წლის წინათ, აჩვენა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გამოკვლევამ. ამ 16 წლის განმავლობაში ახალგაზრდობამ დაიწყო მეტი ხილისა და ბოსტნეულის ჭამა, გაიზარდა იმ მოზარდების წილი, რომლებიც თვალ-ყურს ადევნებენ თავიანთ ფიზიკურ ფორმას და ჰიგიენას. ბევრს წარმატებით, სკანდალების გარეშე, აქვს ურთიერთობა მშობლებთან. უფრო ცოტა გახდა იმათი რიცხვი, ვისზეც იჩენენ ძალადობას და ამცირებენ სკოლაში.

მაგრამ ასე როდია ყველგან. 2002-დან 2010 წლამდე ახალგაზრდების ფიზიკური აქტივობის წილი შემცირდა რუსეთში, ლიტვაში, ჩეხეთში, დანიაში, შოტლანდიაში, სლოვენიასა და შვეიცარიაში. 12 ქვეყანაში 20-დან ამავე პერიოდში გაიზარდა იმ მოზარდების პროცენტები, რომლებიც ტკივილის გამაყუჩებლებს ღებულობენ. ძირითადად ეს მოხდა იმ სახელმწიფოებში, სადაც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გაჩნდა ეკონომიკური კრიზისი.

როგორი სუნი უდის?

რაც **უფრო ძლიერი სურნელი აქვს საჭმელს, მით უფრო სწრაფად მოდის სიმაძღრის გრძნობა. სწორედ ცხვირი, და არა კუჭი, აძლევს თავის ტვინს ბრძანებას იმის შესახებ, რომ დროა, შევწყვიტოთ ჭამა. ცხვირსა და დანაყრების ცენტრს ხომ პირდაპირი კავშირი აქვთ.** გამოკვლევები მხოლოდ ადასტურებენ ასეთ თეორიას. არც ისე დიდი ხნის წინათ მეცნიერებმა მოაწყვეს ექსპერიმენტი: ადამიანებს აძლევდნენ საკვებს ძლიერი არომატით, მაგრამ დამატებით საკვებ ნივთიერებათა გარეშე — და ნახევარი წლის განმავლობაში ისინი კარგავდნენ დაახლოებით 2,5 კილოგრამს, ვინაიდან ჭამდნენ უფრო ნაკლებს, ვიდრე ჩვეულებრივად. ამიტომ მათთვის, ვისაც არ უნდა ჭამოს ზედმეტი, უმჯობესია, მიირთვან ნელა, რომ მოასწრონ საჭმლის სურნელით დატკბობა, დაიდგან სუფრაზე მხოლოდ ცხელი კერძები (რაც მეტადაა გაცხელებული საჭმელი, მით მეტი სურნელი მოდის მისგან), გამოიყენონ სპეციები და სანელებლები.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 28 მაისს

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

გურული ზანგს პირველად ნახავს...

— ვინ ხარ, ბიძია, შენ???

— მე ლეონარდო დი კაბრიო ვარ, — გაეხუმრა ზანგი.

გადარეკავს გურული ტელეფონზე:

— ალო, აფრასიონა, თუ გახსოვს, ტიტანიკი ჩეიძირა თუ დეიწვა?

* * *

მოხუცი ზვიგენი უხსნის ახალგაზრდა ზვიგენს როგორ უნდა ინადიროს ადამიანებზე.

— ხედავ მოცურავეს? უნდა მიუახლოვდე, ზემოთ ამოხვიდე ისე, რომ შენი ზურგის ფარფლი დაინახოს და სამჯერ უნდა შემოუარო მსხვერპლს, სანამ დაესხმებოდე თავს.

— სამჯერ რატო, ეგრევე ხომ შეიძლება თავს დავესხა?

— არა, სანამ სამჯერ შემოუვლი, მსხვერპლი განავლისგან თავისუფლდება და მერე უფრო გემრიელია...

* * *

— ხვალ **დილით ადრე მოხვალთ მშიერი, არანაირი საკვების მიღება არ შეიძლება ოპერაციის წინ და გაითვალისწინეთ, — ეუბნება ექიმი.**

— არც ყავის დალევა არ შეიძლება, ექიმო, ძალიან მიყვარს უზმოზე...

— არც ყავისა.

— რატომ, ნარკოზზე აღარ დამეძინება?

* * *

— რა **გამოვა ზღარბისა და გველის შეჯვარებით? — ეკითხება მასწავლებელი მოსწავლეს.**

— ერთი მეტრი მავთულსლართი.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24